საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | №№ 16 (36) | ხუთშაბათი, 24 იანვარი, 1991 წ. | ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენასი საბჭოს პრესცენტრის ინფორმაცია

ამა წლის 12 იანვარს ჯ. ვილნიუსში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ლიტვის რესპუბლიკაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გიმეგზავრნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი მერაბ ურიდია და ამავე კომისიის წევრი ბატონი ირაკლი მელაშვილი.

ლიტვის პარლამენტში მათი ოფიციალური ვიზიტის მიზანი იყო გამოეცხადებინათ სამძიმარი ლიტვის უზენაესი საბჭოსა და ლიტველი ხალხისადმი.

ჩასვლისთანავე 15 იანვარს ლიტვის პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ბატონი მერაბ ურიდია, იგი შეეხო კრემლის აგრესიის კიდევ ერთი უკიდურესი გამოვლენის ფაქტს — ლიტვის რესპუბლიკაში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახელით დაგმო კრემლის ანტიუმანური მოქმედება და ყოველად გაუმართლებელი ჩარევა ლიტვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. წაკითხულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადების დასკვნითი ნაწილი.

ეს განცხადება, სადაც საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური ხელისუფლების პოზიციებია გამოხატული, ლიტვის პარლამენტის მიერ დადებითად იქნა შეფასებული.

ქართველი დეპუტატები მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდნენ ლიტველ კოლეგებთან ერთად ლიტვის უზენაესი საბჭოს შენობაში, ჯარების მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის საშიშროების გამო. ეს იყო სიმბოლური აქტი, რითაც ხდებოდა დემონსტრირება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანადგომისა ლიტვის პარლამენტისადმი უკიდურესი განსაცდელის ჟამს.

მეორე დღეს გმირულად დაღუპულთა დაკრძალვასთან დაკავშირებით მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ბატონმა ირაკლი მელაშვილმა. იმავე საღამოს ადგილი ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომა, ხიდგნილი დაღუპულთა სპატიცემლოდ. სხდომას საქართველოს წარგზავნილთა გარდა ესწრებოდნენ რუსეთის ფედერაციის, მოლდავეთისა და უკრაინის უზენაესი საბჭოების წარმომადგენლები. შემდეგ ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ვიტაუტას ლანდსბერგისისა და აღნიშნული რესპუბლიკების პარლამენტთა წარმომადგენლების მონაწილეობით მოეწყო ერთობლივი პრესკონფერენცია, უცხოური პრესისა და ტელეკომპანიების კორესპონდენტებისათვის. დიალოგებში საქართველოს მხრიდან მონაწილეობას იღებდა მერაბ ურიდია.

საღამოს 21 საათზე შედგა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვიტაუტას ლანდსბერგისის შეხვედრა ჩამოსულ სტუმრებთან. სტუმართა შორის იყვნენ მთვლიანებით ჩამოსული პოლონეთის სეიმის წევრებიც. სტუმართა წარმომადგენლობამ გადაწყვიტა გიკეთებინა ერთობლივი განცხადება, რომ აგრესიის ავტორი იყო კრემლი და მომხდარი ტრაგედიის გამო პასუხისმგებლობაც მთლიანად მას უნდა დაეკისროს.

შედეგ ხელი მოაწერეს ოფიციალურ განცხადებას.

იმავე დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები გამოემგზავრნენ ლიტვის რესპუბლიკიდან. (საქინფორმი).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საყურადღებოდ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა 1991 წლის 24 იანვრის ნაცვლად გაიმართება 1991 წლის 29 იანვარს, 10 საათზე, უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია დაიწყება 29 იანვარს, 8 საათსა და 30 წუთიდან.

რადიოსადგურ „თავისუფლების“ დეზინფორმაცია

1991 წლის 16 იანვარს კონსტანტინე ნაციონაშვილმა (რუსულ ენაზე) გადასცა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ კოლექტივის სახელით მიღებული მასალა.

ეს ანტიდემოკრატიული გაზეთის მორიგი ცილისწამებაა, მიმართული ახლად არჩეული საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ გაზეთი „მოლოდიოჟ გრუზიი“ დაარსების მომენტიდან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრესის ორგანო და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და საკავშირო ალკა „წყალქვეშა ნავი“, მათი იდეების გამტარებელი იყო, და არა დამოუკიდებელი გაზეთი.

იგი არასოდეს არ ასახავდა ქართველი ახალგაზრდობის ინტერესებს, აქვეყნებდა პროვოკაციულ სტატიებს, რომლებიც აბრკოლებდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხელს უშლიდა ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივებას.

საქართველოში აღარ არსებობს არც კომკავშირი, არც მისი ცენტრალური ორგანოები, მაშასადამე, გაუმართლებელია მათი გაზეთის გამოცემაც.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, აგრეთვე რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების და ქაღალდის ნაკლებობის გამო, და იმის გათვალისწინებით, რომ გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიას“ არა აქვს შესაბამისი ტირაჟი, რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა გააერთიანოს გაზეთები „მოლოდიოჟ გრუზიი“ და „ზარია ვოსტოკა“ ერთ გამოცემად სახელწოდებით „ვესტნიკ გრუზიი“.

რაც შეეხება რუსულენოვანი გაზეთის უფლებათა შელახვას, ეს უხეში ცილისწამებაა. საქართველოში ხომ გამოდის გაზეთები არა მარტო ქართულ და რუსულ ენებზე, არამედ სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ, აფხაზურ, ინგლისურ და სხვა ენებზეც.

მას შემდეგ, რაც ახდა მთელი ქართველი ხალხის ოცნება, ესეიგი დემოკრატიულმა ძალებმა დამარცხეს კომუნისტური რეჟიმი, არავითარი დიქტატი და ანტიდემოკრატია პრესაში არ არის და არც შეიძლება იყოს.

უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით გამართული ნამდვილად დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების შედეგად არჩეულია ეროვნული პარლამენტი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას, ცნობილი სამართალდამცველის, ჰუმანისტის, საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარის, ყოფილი დისიდენტის თავმჯდომარეობით. ეს მთელი ქართველი ხალხის ნების გამოხატულებაა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.
1991 წლის 22 იანვარი.

შიდა ქართლი

მდგომარეობა ცხინვალში

როგორც ვიუწყებოდით, ოსმა ექსტრემისტებმა, რომლებმაც დაარღვიეს წინა დღეს დათქმული პირობა სროლის შწყვეტისა. და ცხინვალის ქუჩებში ბარიკადების აღების შესახებ, 22 იანვარს 15 საათიდან და 30 წუთიდან ქალაქის ყველა კუთხიდან ცეცხლი დაუშინეს საქართველოს მილიციის მუშაკებს. 16 საათზე ექსტრემისტების ტყვიით დაიჭრა თბილისის კრწანისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკი, მილიციის სერჟანტი იური ფეიქრიშვილი.

19 საათისთვის ექსტრემისტებმა ქალაქის სხვადასხვა უბნიდან დაიწყეს ნაღმსატყორცნებისა და ყუმბარსატყორცნების სროლა. ნაღმი აფეთქდა ცხინვალის შესასვლელში განლაგებული სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოს შენობის გვერდით, ძლიერი აფეთქება მოხდა პუშკინის ქუჩაზე. დაახლოებით 21 საათზე გასროლილმა ჭურვმა შეაგრია უნივერმაღის კედელი.

ღამის საათებში რკინიგზის ეკგზლის მხრიდან ისროდნენ რაკეტებს, ხოლო პედაგოგიურ ინსტიტუტთან მოწყობილი პიკეტიდან მთელი ღამის განმავლობაში ისროდნენ ყუმბარსატყორცნს.

ექსტრემისტების შემოტევაზე მილიციის მხრიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად დაიღუპა სამი ექსტრემისტი, დაიჭრა რამდენიმე.

საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მსხვერპლი არ არის.

22 იანვარს საღამოს მილიციის მუშაკებმა ცხინვალის რაიონში დააკავეს უმუშევარი იური ბეკოევი, რომელსაც აღმოაჩნდა რამდენიმე ცალი ტყვიამფრქვევის ვაზნა.

23 იანვარს მთელი ღამის განმავლობაში ბარიკადებიდან და ცალკეული შენობებიდან ექსტრემისტები ცეცხლს უშენდნენ მილიციის საგუშაგოებს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.
(საქინფორმი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება

1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების გადასახდელად მიღების შეწყვეტისა და მოქალაქეთა ანაბრებიდან ნაღდი ფულის გაცემის შეზღუდვის შესახებ

კვეყანის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის, სპეკულაციასთან, კორუფციასთან, კონტრაბანდასთან, ყალბი ფულის დამზადებასთან, უშრომელ შემოსავალთან ბრძოლის გაძლიერების ინტერესებისათვის და ფულის მიმოქცევისა და სამომხმარებლო ბაზრის ნორმალიზაციის მიზნით, **ვადგენ:**

1. მიღებულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის წინადადებები, რომ:

— შეწყდეს 1991 წლის 23 იანვრის 0 საათიდან 1961 წლის ნიმუშის 50 და 100 მანეთი ღირსების სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების მიღება ყველა სახეობის გადასახდელად და გაიცვალოს ისინი სხვა ღირებულების ფულის ნიშნებსა და 1991 წლის ნიმუშის 50 და 100 მანეთი ღირსების ბანკნოტებზე სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის მიერ განსაზღვრული წესით;

— შეიზღუდოს 1991 წლის პირველ ნახევარში, 1991 წლის 23 იანვრიდან მოყოლებული, შემნახველი ბანკისა და ყველა სხვა ბანკის დაწესებულებებში მოქალაქეთა ანაბრებიდან ნაღდი ფულის გაცემა თვეში 500 მანეთი მაქსიმალური თანხით.

— დადგინდეს 1991 წლის 23 იანვრიდან წესი, რომლის მიხედვით მეანაბრეებს ენიჭებათ უფლება შემნახველ ბანკსა და სხვა ბანკებში შეტანილი ანაბრები გამოიყენონ საქონლისა და მომსახურების ასანაზღაურებლად უნაღდო წესით თანხის შეუზღუდავად.

2. აღნიშნული ფულის ნიშნების გაცვლისა და მიმოქცევიდან ამოღების ღონისძიებათა ზუსტად შესრულების უზრუნველსაყოფად:

— სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა უზრუნველყონ კონტროლი და ჯეროვნად დაუხმარონ ადგილებზე ბანკების დაწესებულებებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ და სხვა საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ამ ბრძანებულების შესრულებაში;

— სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა უზრუნველყონ ბანკებში და გადაზიდვის დროს ფასეულობათა დაცვის გაძლიერება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
ვ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. **1991 წლის 22 იანვარი.**

სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 22 იანვრის დადგენილება

1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების გადასახდელად მიღების შეწყვეტისა და მათი გაცვლის წესისა და მოქალაქეთა ანაბრებიდან ნაღდი ფულის გაცემის შეზღუდვის შესახებ

„1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების გადასახდელად მიღების შეწყვეტისა და მოქალაქეთა ანაბრებიდან ნაღდი ფულის გაცემის შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 22 იანვრის ბრძანებულების შესასრულებლად, სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. შეწყდეს 1991 წლის 23 იანვრის 0 საათიდან ყველა სახეობის გადასახდელად 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების მიღება, აგრეთვე მათი გაცემა ბანკების დაწესებულებების, საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მიერ.

2. ყველა სახელმწიფო, კოპერაციულ, საზოგადოებრივ და სხვა საწარმოს, გაერთიანებას, ორგანიზაციას, დაწესებულებას ევალება 1991 წლის 23 იანვრის დღის დამდეგისათვის შეადგინონ აქტი, თუ მათ სალაროებში რამდენია 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების ნამოები და ჩააბარონ ისინი მომსახურე ბანკის დაწესებულებას 1991 წლის 23 იანვრის 3 საათის განმავლობაში.

ბანკების დაწესებულებები ფულის ნიშნების აღნიშნულ ნამოებს იღებენ 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი არსებული ფულის ნიშნების სათანადოდ გაფორმებული აქტის პირველი ეგზემპლარის საფუძველზე, ნომინალის მიხედვით პირობითი შეფასებით და შემდგ თანხას რიცხავენ ორგანიზაციის საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ დადგენილი წესით შემოწმების შემდეგ.

კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც დამოუკიდებლად განსაზღვავენ ფულის გარდამავალ ნაშთს თავიანთ სალაროებში, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი კოოპერატივის (ორგანიზაციის) ანგარიშზე სალაროების ჩაბარებული ნამოების ჩარიცხვის საკითხთა გადაწყვეტის დროს ხელმძღვანელობს იმ სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ბანკების დაწესებულებათა მიერ დადგენილი სალაროების ზღვრული ნაშთებით, რომელთა საქმიანობის პროფილი კოოპერატივის (ორგანიზაციის) პროფილის ანალოგიურია.

3. მომუშავე მოქალაქეებისთვის 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი ფულის ნიშნების გასაცვლელად საწარმოებში, გაერთიანებებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შეიქმნას კომისიები ხელმძღვანელობის, საფინანსო-საბუღალტრო სამსახურების, პროფკავშირული კომიტეტების, შრომითი კოლექტივების საბჭოების წარმომადგენლებისაგან სულ ცოტა 5 კაცის შემადგენლობით.

სხვა ღირებების ფულის ნიშნებზე 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი ფულის ნიშნებს საწარმოები და ორგანიზაციები ცვლიან აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებით მხოლოდ იმ მუშაკებისათვის, რომლებიც არიან საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის, დაწესებულების შტატში, აგრეთვე დროებით მივლენილი პირებისათვის — სამი დღის — 1991 წლის 23-25 იანვრის განმავლობაში შეშაობის ბოლო წლის მანძილზე საშუალო თვიური ხელფასის ფარგლებში. ამ დროს გაცვლის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 1000 მანეთს ერთ მომუშავეზე. კომისიის წევრთა მიერ ხელმოწერილი ფულის ნიშნების გაცვლის უწყისის ერთი ეგზემპლარი ბანკის მომსახურე დაწესებულების ჩაბარდეს.

განცხადების დროს დადგენილი ზღვარის გადამეტებით წარდგენილ 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიან ფულის ნიშნებზე საწარმოს, ორგანიზაციის კომისია ადგენს ცალკე უწყისს, რომლის ეგზემპლარი უნდა ჩაბარდეს რაიონულ (საქალაქო) აღმასკომთან საგანგებოდ შექმნილი აღნიშნული ღირსების ფულის ნიშნების გაცვლის საკითხთა გადაწყვეტის კომისიას.

მუშაკთაგან მიღებულ 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიან ყველა ფულის ნიშნს საწარმოები და ორგანიზაციები აბარებენ მომსახურე ბანკის დაწესებულებას არა უგვიანეს 1991 წლის 26 იანვრისა სათანადოდ გაფორმებული უწყისების პირებითურთ. პენსიონერებისათვის 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთის ფულის ნიშნებს სხვა ღირსების ფულის ნიშნებზე ცვლიან პენსიების მიმცემი შემნახველი ბანკის დაწესებულებები ან საფოსტო ორგანიზაციები 200 მანეთის ფარგლებში ან თვიური პენსიის ოდენობით გაცვლის უწყისის შედგენით. თვიური პენსიის ოდენობის გადამეტებით 50 და 100-მანეთიანი ფულის ნიშნების თანხა პენსიონერებისაგან მიიღება განცხადებით ცალკე უწყისით გაუცვლელად და განსახილველად გადაეცემა რაიონულ (საქალაქო) აღმასკომთან არსებულ კომისიას. მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მიერ ხელმოწერილი გაცვლის უწყისი გაცვლილ და მიღებულ ფულის ნიშნებთან ერთად ბარდება ბანკის შესაბამის დაწესებულებას არა უგვიანეს 1991 წლის 26 იანვრისა.

მუდმივი სამუშაო ადგილისა და საცხოვრებელი ადგილის გარეთ სამკურნალოდ, დასასვენებლად მყოფ მოქალაქეს ფულს უცვლიან დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, საავადმყოფოებსა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში შექმნილი კომისიები.

დასასვენებლად თუ სამკურნალოდ მყოფ მოქალაქეებს ფულს უცვლის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება ერთ პირზე არა უმეტეს 500 მანეთი [illegible] ამასთან ადგენენ ცალკე უწყისს, რომლის ერთი ეგზემპლარი [illegible] ბანკის დაწესებულებას ჩაბარდება. დამსვენებლის, ავადმყოფის დანარჩენ თანხას დასასვენებელი სახლი, სანატორიუმი, საავადმყოფო, სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება ტელეგრაფით გადაუგზავნის საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას, სადაც მუშაობს (პენსიას, დახმარებას იღებს) დამსვენებელი თუ ავადმყოფი, ამასთან გადაგზავნის საფასურს არ ახდევინებს. გადაწდილი ტარიფის თანხას სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებას უნაზღაურებს ადგილობრივი საფინანსო ორგანო საკავშირო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე საფოსტო-სატელეგრაფო საწარმოს ქვითრის (რეესტრის) საფუძველზე. საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებიც აღნიშნულ თანხის გზავნილებს მიიღებენ, მათ ცვლიან დადგენილი წესით იმ ანგარიშით, რომ გაცვლა უკვე მოხდა 500 მანეთის ოდენობით. დადგენილი ოდენობის გადამეტებულ თანხაზე დგება ცალკე უწყისი, რომელიც შემდგომი განხილვისათვის გადაეცემათ რაიონულ (საქალაქო) აღმასკომთან არსებულ კომისიებს. დასასვენებლად თუ სამკურნალოდ მყოფი მოქალაქეების მიერ გადაგზავნილი თანხის მიხედვით ფულის ნიშნების გაცვლის შესახებ განცხადებებს იღებენ რაიონულ (საქალაქო) აღმასკომებთან არსებული კომისიები სამი დღის განმავლობაში სამუშაო ადგილას სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებიდან მოქალაქის დაბრუნების შემდეგ.

დანარჩენი მოქალაქენი 50 და 100-მანეთიან ფულის ნიშნებს განცხადების დროს აბარებენ რაიონულ (საქალაქო) აღმასკომთან ჩრსებულ გაცვლის კომისიას.

მოქალაქეთა მიერ სამი დღის ვადაში, ესე იგი 1991 წლის 26 იანვრამდე, ჩაუბარებელი ფულის ნიშნების გაცვლა არ წარმოება.

4. გაცვლის დადგენილი ფარგლების გადამეტებით 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი ფულის ნიშნების გაცვლის საკითხთა გადაწყვეტისათვის რაიონულ (საქალაქო) აღმასკომთან შეიქმნას დეპუტატთა კომისიები საფინანსო, საბანკო, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლთა მონაწილეობით. კომისიები მოქალაქეთა განცხადებების გამო 10 დღის განმავლობაში იღებენ გადაწყვეტილებას გაცვლის ან მასზე უარის თქმის შესახებ. [illegible] ადგილობრივი ორგანოებისა და აღნიშნული ღირსების ფულის ნიშნების მიღების დასაბუთებულობისა და კანონიერების განხილვის შედეგების მიხედვით.

რაიონულ (საქალაქო) აღმასკომებთან არსებული კომისიის გადაწყვეტილება ფულის ნიშნების გაცვლაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სოლოქმ, სამხარეო, რესპუბლიკურ სადეპუტატო კომისიებში, რომლებიც სპეციალურად ამ მიზნებისათვის იქმნება. ამ უკანასკნელთა გადაწყვეტილება საბოლოოა.

5. დადგენილი ზღვარის გადამეტებით გაცვლისათვის წარდგენილი 50 და 100-მანეთიანი ფულის ნიშნების შესახებ მოქალაქეთა განცხადებებში მითითებული უნდა იყოს, თუ საიდან აქვს ფულის ნიშნები: შემოსავლის წყარო ან აღნიშნული ფულის ნიშნების მიღების დრო და ადგილი, სხვა მონაცემები და ცნობები, რომლებიც დაადასტურებენ მათი მიღებისა და დაგროვების კანონიერებას. დადგენილი ზღვრის გადამეტებით, ფულის ნიშნების გაცვლის საკითხებს, თუ განმცხადებელი არ განმარტავს მიზეზებს და საფუძველს, აგრეთვე 1991 წლის 25 იანვრის შემდგ შეტანილ განცხადებებს (მესამე პუნქტში აღნიშნული შემთხვევების გარდა), კომისიები არ იხილავენ.

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საბაჟო კონტროლის მთავარმა სამმართველომ 1991 წლის 23-25 იანვარს სსრ კავშირში შემოსტანად არ დაუშვას 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნები.

7. უცხოელ მოქალაქეებს 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიან ბანკნოტებს უცვლიან სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ბანკის დაწესებულებები ან უცხოური ვალუტის ოპერაციების შემსრულებელი ბანკების დაწესებულებები 1991 წლის 23-25 იანვრის განმავლობაში ვალუტის გაცვლის დროს მიღებული თანხით სსრ კავშირის [illegible] ეკონომიკური ბანკის დაწესებულებათა ქვითრის საფუძველზე.

დიპლომატიურ, საკონსულო და სსრ კავშირში უცხოთის სახელმწიფოთა სხვა წარმომადგენლობებში მომუშავე უცხოელ მოქალაქეებს 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიან ბანკნოტებს უცვლიან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური კორპუსების მართვის მთავარი სამმართველოს მეშვეობით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებული წესით.

8. 1991 წლის 23 იანვრიდან 1991 წლის პირველი ნახევრისათვის შემოღებულ იქნეს მოქალაქეთა ანაბრებიდან ნაღდი ფულის გაცემის შეზღუდვა ყველა ბანკის — სსრ კავშირის შემნახველი ბანკის, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, რესპუბლიკათა ცენტრალური (ეროვნული) ბანკების დაწესებულებებში — კომერციულ, კოოპერაციულ ბანკებსა და სხვა საბანკო დაწესებულებებში.

დადგინდეს, რომ მოანაბრეს უფლება აქვს თავისი ანაბრიდან თვის განმავლობაში მიიღოს ნაღდი ფული არა უმეტეს 500 მანეთისა შემნახველი ბანკის დაწესებულებებში მხოლოდ საცხოვრებელი (სამუშაო) ადგილის მიხედვით (ანაბრიდან ფულის გაცემის აღნიშნული ზღვრული ნორმა ვრცელდება აგრეთვე 1991 წლის 23-31 იანვრის პერიოდზე. ამასთან, ხელფასისა და პენსიების უნაღდო გადარიცხვა ანაბრებში აღნიშნულ ლიმიტში არ შედის.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და სსრ კავშირის შემნახველმა ბანკმა დაადგინონ ნაღდი ფულის — თვეში 500 მანეთის გაცემის მაქსიმალური თანხის დაცვის წესი.

მოანაბრეს უფლება აქვს ანაბრის (ანაბრების) სახსრები გამოიყენოს უნაღდო გზით თანხის შეუზღუდავად საქონლის შეძენისათვის მომსახურების ანაზღაურებისათვის, ამასთან, გამოიყენოს სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საანგარიშსწორებო ჩეკები, აგრეთვე, ერთი ანაბრიდან მეორეზე სახსრების გადაგზავნისთვის.

9. საბანკო დაწესებულებებში 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი ფულის ბილეთების ნიშნების გაცვლისა და მიმოქცევიდან ამოღების განკარგულების ზუსტად შესრულების უზრუნველსაყოფად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს დაევალოს, შექმნან და რესპუბლიკათა ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებში, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურ ბანკებში გაგზავნონ თანამშრომელთა სპეციალური ჯგუფები, რომლებსაც მიენიჭებათ საგანგებო უფლებამოსილებანი, რომ კონტროლი გაუწიონ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებისა და ამ დადგენილების შესრულების, ამასთან, იკისრონ საჭიროების შემთხვევაში საბანკო დაწესებულებათა უშუალო მართვა.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა უზრუნველყონ კონტროლი და სათანადოდ დაეხმარონ ადგილებზე ბანკების დაწესებულებებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ და სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ამ დადგენილების შესრულებაში.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა უზრუნველყონ ბანკებში და გადაზიდვის დროს ფასეულობათა დაცვის გაძლიერება.

პრემიერ-მინისტრი
ვ. პავლოვი.
საქმეთა მმართველი
ბ. შაბაბარდნია.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისაგან

1991 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ფულის ნიშნების მიმოქცევაში გამოშვების შესახებ

1991 წლის 23 იანვარს მიმოქცევაში გამოდის 1991 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთები.

100 და 50-მანეთიანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთი დაბეჭდილია ქაღალდზე და ერთ მხარეზე აქვს ფართო თეთრი კიდე ვ. ი. ლენინის პორტრეტის (ბარელიეფის) გამოსახულებიანი ჭვირნიშნით, მეორე მხარეზე — ვიწრო თეთრი კიდე.

100, 50-მანეთიან ბილეთს წინასტარზე აქვს წარწერა: „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთი“. „საბანკო ბილეთები უზრუნველყოფილია ოქროთი, ძვირფასი ლითონებითა და სახელმწიფო ბანკის სხვა აქტივებით“.

ბილეთის ზემოთ და ქვემოთ მრავალფერი ბორდიურია. უკანასტარზე მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე წაწერილია ბილეთის ღირებულება, სიტყვები: „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთების გაყალბება იდევნება კანონით“ და ბილეთის ორი ერთნაირი შვიდნიშნა ნომერი სერიის ასობრივი მონიშვნით.

100-მანეთიან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთზე ჭარბობს ყავისფერ-ცისფერი ფერი. ბილეთის წინასტარზე გამოსახულია: მარცხენა მხარეს — ვ. ი. ლენინის ყავისფერი პორტრეტი (ბარელიეფი), მის ქვემოთ ორნამენტული ნახატი, ცენტრალურ ნაწილში — ლურჯი ფერის სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი ორნამენტული გაფორმებით, ციფრები „100“ და წარწერა „ასი მანეთი“, ქვემოთ მარჯვნივ — ციფრი „100“ ყავისფერ როზეტში, ბილეთის მარჯვენა მხარეს თეთრი კიდის ქვედა ნაწილში არის ვარდისფერი ციფრები „1991“ და „100“ ლურჯფერ როზეტში.

უკანასტარზე გამოსახულია: მოსკოვის კრემლის ყავისფერი ხედი, ზემოთ მარცხნივ და მარჯვნივ ციფრები „100“ ლურჯი ფერის პატარა როზეტებში, ლურჯი ფერის ასოები „სსრკ“, შუაში — ციფრი „100“ ლურჯი ფერის დიდ როზეტში, ყავისფერი წარწერა „ასი მანეთი“ და მის ქვეშ ცისფერი ციფრი „100“, განიერი თეთრი კიდის ქვემო ნაწილის მარცხენა მხარეზე ციფრი „100“ მრავალფერ როზეტში.

50 მანეთი ღირებულების სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთზე ჭარბობს ყავისფერი-მწვანე ფერი. ბილეთის წინასტარზე გამოსახულია: მარცხენა მხარეს ვ. ი. ლენინის — ყავისფერი პორტრეტი (ბარელიეფი), ცენტრალურ ნაწილში — წითელ-ყავისფერი სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი ორნამენტული გაფორმებით, ციფრი „50“ და წარწერა „ორმოცდაათი მანეთი“, ქვემოთ — ორი ციფრი „50“, ბილეთის მარჯვენა მხარეზე განიერი თეთრი კიდის ქვემო ნაწილში მოთავსებულია მწვანე ფერის ციფრი „1991“ და „50“ წითელ-ყავისფერ როზეტში.

უკანასტარზე გამოსახულია: ოვალურ მოსკოვის კრემლის ხედი ჩარჩოში ორნამენტული გაფორმებით, ჩარჩოს ზემოთ — ასოები „სსრკ“, ქვემოთ — ციფრი „50“, ჩარჩოს ქვეშ — წარწერა „ორმოცდაათი მანეთი“, ბილეთის მარცხენა მხარეს განიერი თეთრი კიდის ქვემო ნაწილში ორნამენტული გაფორმებით, ჩარჩოში ზემოთ — ასოები „სსრკ“, ქვემოთ — ციფრი „50“, ჩარჩოს ქვეშ — წარწერა „ორმოცდაათი მანეთი“, ბილეთის მარცხენა მხარეს განიერი თეთრი კიდის ქვემო ნაწილში ციფრი „50“ მრავალფერ როზეტში.

აღნიშნული ფულის ბილეთები, რომლებიც ამჟამად სხვა ფულად ნიშნებთან ერთად ბრუნვაშია, საჭიროებისა მიიღონ ნომინალით სახელმწიფო, კოოპერაციულმა, საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა პირებმა ყოველგვარი ფულადი გადასახდელებისას, აგრეთვე ბანკების დაწესებულებებმა და კავშირგაბმულობის სამინისტროთა საწარმოებმა მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშებზე ჩასარიცხავად, ანაბრებად, აკრედიტივებად და გზავნილებად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.





ПРОЕКТИ

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ

თავი I.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და მათი უფლებამოსილება

მუხლი 1. ადგილობრივი მმართველობა

ადგილობრივი მმართველობა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანია უზრუნველყოს გარდამავალი პერიოდის ამოცანების გადაწყვეტა არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

მუხლი 2. ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები

ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპებია:

— კანონიერება და მისი უზრუნველყოფა;

— მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

— სამართლიანობა;

— საჯაროობა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება;

— ეფექტიანობა და ბიუროკრატიზმის თავიდან აცილება;

— საერთო რესპუბლიკური და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობა;

— ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა გათვალისწინება;

— ანგარიშვალდებულება და სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ზემდგომი ორგანოებისა და მოსახლეობის წინაშე.

მუხლი 3. ადგილობრივი მმართველობის სისტემა

1) ადგილობრივი მმართველობა სოფელში (დაბაში) მოიცავს:

— მოსახლეობის მიერ არჩეულ წარმომადგენლობით ორგანოს — სოფლის (დაბის) საკრებულოს;

— სოფლის (დაბის) საკრებულოს მიერ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოს—გამგეობას, ან თანამდებობის პირს—გამგებელს;

— საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობის კრებებს;

2) ქალაქის რაიონში ადგილობრივი მმართველობა მოიცავს;

— მოსახლეობის მიერ არჩეულ წარმომადგენლობით ორგანოს — ქალაქის რაიონის საკრებულოს;

— ქალაქის რაიონის საკრებულოს მიერ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოს—გამგეობას;

— საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობის კრებებს;

3) რაიონების და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ადგილობრივი მმართველობა მოიცავს:

— მოსახლეობის მიერ არჩეულ წარმომადგენლობით ორგანოს — ქალაქის, რაიონის საკრებულოს;

— პრეფექტს;

— საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობის კრებებს.

მუხლი 4. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები

1) სოფლის (დაბის), რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის საკრებულოების ორგანიზაცია, საქმიანობის წესი და კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ კანონით, საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებითა და საკრებულო შესაბამისი რეგლამენტით, რომელსაც პრეფექტი ამტკიცებს;

2) საკრებულოს წევრებს კანონით დადგენილი წესით ირჩევს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით.

მუხლი 5. საკრებულოს საქმიანობის ძირითადი ფორმები

საკრებულოს საქმიანობის ძირითადი ფორმებია:

— საკრებულოს სხდომა;

— საკრებულოს კომისიების საქმიანობა;

— საკრებულოს წევრთა საქმიანობა თავიანთ საარჩევნო ოლქებში.

მუხლი 6. საკრებულოს სხდომის ორგანიზაცია

1) ახლად არჩეული საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისია არა უგვიანეს 10 დღისა არჩევნების ჩატარებიდან, თუ ამ დროისათვის არჩეულია საკრებულოს წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ორი მესამედი. მომდევნო სხდომას იწვევს საკრებულოს მდივანი თავისი ინიციატივით, პრეფექტის, საკრებულოს წევრთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედის მოთხოვნით ან მოცემული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ამომრჩეველთა იმ რაოდენობის მოთხოვნით, რაც განისაზღვრება შესაბამისი საკრებულოს რეგლამენტით;

2) საკრებულოს მდივანის არჩევამდე ახლად არჩეული საკრებულოს პირველ სხდომას უძღვება შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 7. საკრებულოების სხდომაზე გადასაწყვეტი საკითხები

მხოლოდ და მხოლოდ საკრებულოს სხდომაზე უნდა გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

— საკრებულოს რეგლამენტის მიღება, მასში ცვლილებების შეტანა;

— ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

— ადგილობრივი ბიუჯეტისა და მისი შესრულების დამტკიცება;

— საკრებულოს მდივნისა და მისი მოადგილის არჩევა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

— გამგეობის არჩევა, გამგეობის თავმჯდომარისა და გამგებლის დამტკიცება.

— დროებითი კომისიებისა და სარევიზიო კომისიის შექმნა;

— ბუნების დაცვასთან, ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

მუხლი 8. საკრებულოს მდივანი

1) საკრებულოს მდივანს ფარული კენჭისყრით 3 წლის გადით ირჩევენ შესაბამისი საკრებულოს წევრთა რიცხვიდან. ერთი და იგივე პირი მდივნად შეიძლება აირჩიონ ზედიზედ არა უმეტეს ორი ვადისა;

2) საკრებულოს მდივანი:

— იწვევს და უძღვება საკრებულოს სხდომებს;

— კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიების საქმიანობას;

— ხელს აწერს საკრებულოს სხდომების ოქმებს;

— დასამტკიცებლად წარუდგენს პრეფექტს საკრებულოს გადაწყვეტილებებს.

მუხლი 9. საკრებულოს მდივნის მოადგილე

1) საკრებულოს მდივნის წარდგენებით საკრებულო 3 წლის ვადით ირჩევს საკრებულოს მდივნის მოადგილეს;

2) იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს მდივანს დროებით არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობები, ან მისი არყოფნისას, ან მდივნის უშუალო დავალებით, მის ფუნქციებს ასრულებს მოადგილე;

3) საკრებულოს მდივნის ნებაყოფლობით გადადგომისას ან მის მიერ მდივნის ფუნქციების შესრულებისათვის დაუშლელი დაბრკოლების არსებობის შემთხვევაში საკრებულოს მდივნის მოადგილე ხდება საკრებულოს მდივანი;

4) საკრებულოს მდივნის მოადგილე:

— უზრუნველყოფს საჭირო მასალების მომზადებას საკრებულოს სხდომებისათვის;

— განაგებს საქმის წარმოებას;

— ასრულებს საკრებულოს რეგლამენტით მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

მუხლი 10. პრეფექტი

1) რაიონისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირია პრეფექტი. იგი უზრუნველყოფს საერთო-რესპუბლიკური ინტერესების დაცვასა და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

2) პრეფექტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ნიშნავს ან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მისი პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე. პრეფექტის უფლებამოსილების ვადა 4 წელია. ერთი და იგივე პირი პრეფექტად შეიძლება დანიშნოს არა უმეტეს ზედიზედ ორი ვადისა.

3) ავტონომიური რესპუბლიკების რაიონების და რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქების პრეფექტებს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 11. პრეფექტის კომპეტენცია

1) თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის პრეფექტი:

— სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას;

— ხელმძღვანელობს და წარმართავს პრეფექტურის საქმიანობას;

— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად ქმნის პრეფექტურის განყოფილებებს, სამმართველოებსა და სამსახურებს, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც პრეფექტს, ისე სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

— ამტკიცებს შესაბამისი საკრებულოს რეგლამენტს;

— შესაბამის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეფექტურის განყოფილებების, სამმართველოების და სამსახურების ხელმძღვანელებს.

— თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დაგლობრივი ბიუჯეტის საკუთრების საწარმოებს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს;

— განსაზღვრავს პრეფექტის კაბინეტის რიცხობრივ შემადგენლობას და ნიშნავს კაბინეტის წევრებს;

— აუქმებს შესაბამისი საკრებულოს მიერ მიღებულ აქტებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას;

— ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას ადგილობრივი მმართველობის ქვემდგომი ორგანოებისადმი, აუქმებს მათ მიერ მიღებულ აქტებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას;

— ასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციებს როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, ისე მის გარეთ. დებს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

— ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული მთელი მიწების გამოყენებაზე, წყვეტს მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— იძლევა სამეურნეო საქმიანობის ნებართვას, შეწყვეტს ან შეაჩერებს შესაბამის საქმიანობას იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია ან მოქალაქე არღვევს ბუნების დაცვის, მიწათსარგებლობისა და ადგილობრივი ბუნებრივი ან შრომითი რესურსების გამოყენების, სანიტარიისა და ჯანდაცვის, საფინანსო კანონმდებლობას;

2) ხელმძღვანელობს ბიუჯეტის შედგენის ორგანიზაციას და დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას;

— აყენებს საკითხს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე საკრებულოს დაშლისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ;

— ხელმძღვანელობს დაქვემდებარებულ შინაგან საქმეთა ორგანოებს, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

3) პრეფექტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს განკარგულებებსა და ბრძანებებს, რომლის შესრულებაც სავალდებულოა ადგილობრივი მმართველობის მთელ ტერიტორიაზე.

4) პრეფექტის განკარგულებისა და ბრძანების გაუქმება შეიძლება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის ან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, აგრეთვე სასამართლო წესით კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი 12. სოფლის (დაბის) და ქალაქის რაიონის გამგეობა

1) სოფლის (დაბის) აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა სოფლის (დაბის) გამგეობა ან გამგებელი. გამგეობის შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე და წევრები;

2) სოფლის (დაბის) გამგეობის თავმჯდომარეს თავისი უფლებამოსილების ვადით პრეფექტის წარდგინებით საკრებულოს წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს სოფლის (დაბის) საკრებულო;

3) სოფლის (დაბის) საკრებულოს უფლება აქვს გამგეობის ნაცვლად თავისი უფლებამოსილების ვადით და წევრთა შემადგენლობიდან პრეფექტის წარდგენებით აირჩიოს გამგებელი;

4) ქალაქის რაიონის საკრებულოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა ქალაქის რაიონის გამგეობა. გამგეობის შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და წევრები;

5) ქალაქის რაიონის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს თავისი უფლებამოსილების ვადით პრეფექტის წარდგინებით საკრებულოს წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს ქალაქის რაიონის საკრებულო.

მუხლი 13. გამგეობის (გამგებლის) საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1) საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სფეროში გამგეობა (გამგებელი).

— ხელმძღვანელობს პრეფექტის, საკრებულოსა და გამგეობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას;

— ხელს უწყობს საკრებულოს წევრებს მათი ფუნქციების განხორციელებაში;

2) საკრებულოს ფუნქციების განხორციელებისათვის გამგეობა (გამგებელი):

— წარმართავს ადგილობრივი საკუთრების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას;

—კოორდინაციასა და კონტროლს უწევს შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა;

— უზრუნველყოფს ტერიტორიის კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას;

— ორგანიზაციას უწევს ბიუჯეტის შემუშავებასა და უზრუნველყოფს მის შესრულებას;

— განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებს, განაზოგადებს შემოსულ წინადადებებს და იღებს მათ გამო შესაბამის გადაწყვეტილებებს;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს საკადრო საკითხებს.

მუხლი 14. სარევიზიო და დროებითი კომისიები

1) საკრებულო პირველ სხდომაზე წევრთა შემადგენლობიდან თავისი უფლებამოსილების ვადით ირჩევს სარევიზიო კომისიას (ან რევიზორს);

2) სარევიზიო კომისია (რევიზორი) კონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას, ამოწმებს გამგეობის და თანამდებობის პირთა საფინანსო საქმიანობას;

3) საკრებულოს შეუძლია შექმნას დროებითი კომისიები, მათ შემადგენლობაში დასაშვებია ისეთი პირების შეყვანა, რომელნიც საკრებულოს წევრები არიან.

მუხლი 15. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობა

1) საზოგადოებრივ თვითმმართველობაში სოფლის (დაბის) მოსახლეობა მონაწილეობს საერთო კრებებისა და უშუალო თუ წარმომადგენლობითი დემოკრატიის სხვა ფორმებით;

2) ქალაქებში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელების ორგანოებია მიკრორაიონებისა და საცხოვრებელი კომპლექსების საზოგადოებრივი საბჭოები, ბინის კომიტეტები და მოსახლეობის თვითორგანიზაციის სხვა საზოგადოებრივი ფორმები;

3) საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი საკრებულოს მიერ რეგისტრირებული წესდების (დებულების) შესაბამისად. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს შეიძლება დადგენილი წესით მიეცეთ იურიდიული პირის უფლება;

თავი II.

ადგილობრივი მმართველობის ეკონომიკური საფუძველი და ფინანსები

მუხლი 16. ეკონომიკური საფუძველი

1) ადგილობრივი მმართველობის ეკონომიკური საფუძველია ადგილობრივი საკუთრება, კანონით დადგენილი წესით მმართველობისათვის გადაცემული უძრავი და მძრავი ქონება, ადგილობრივი ბიუჯეტი და ბიუჯეტგარეშე სახსრები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სხვა სახსრები, რომლებიც ადგილობრივი მმართველობისა და შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეა.

2) მმართველობის უფლება მის ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ რესურსებზე (მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო) განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 17. ადგილობრივი საკუთრება

1) ადგილობრივი საკუთრება შეიძლება იყოს: კომუნალური საბინაო ფონდი და საბინაო-კომუნალური მეურნეობა, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი, აგრეთვე მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის საწარმოო კომპლექსები და საწარმოები, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები, ფასიანი ქაღალდები (აქციები, ობლიგაციები და ა. შ.) და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც საჭიროა შესაბამისი მმართველობის წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად.

2) ადგილობრივი საკუთრება შეიძლება იყოს სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვა სახის ინფორმაცია;

3) ადგილობრივ საკუთრებაში არსებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით.

4) ადგილობრივი ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება აქვს შესაბამისი მმართველობის ორგანოს ან იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს, რომელთაც ამგვარი უფლება გადაეცემათ.

მუხლი 18. ადგილობრივი საკუთრების წარმოშობის საფუძვლები

1) ადგილობრივი საკუთრების უფლება წარმოიშობა:

— კანონით განსაზღვრული წესით ადგილობრივი მმართველობისათვის სახელმწიფო საკუთრების გადაცემით.

— ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ ახალი ობიექტების შექმნით;

— ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ კანონით გათვალისწინებული გარიგებების დადების შემთხვევაში, აგრეთვე — იმ გარიგებათა საფუძველზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას;

— იმ ხდომილებათა შედეგად, რომელთაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების წარმოშობას უკავშირებს (მოქალაქის გარდაცვლების შემთხვევაში, მმართველობის ორგანოთათვის მისი ბეჭედალშეკრული ნაგებობის გადაცემის შემთხვევები და სხვა).

მუხლი 19. ადგილობრივი მეურნეობა

1) ადგილობრივი მმართველობის ძირითად ეკონომიკურ წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი მეურნეობა;

2) ადგილობრივ მეურნეობას შეადგენს ქვემდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იმ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა ერთობლიობა, რომლებიც ემსახურებიან ადგილობრივი მოსახლეობის საწარმოო საჭიროებებისა თუ სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას;

3) ადგილობრივი მეურნეობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს: საბინაო კომუნალური მეურნეობის, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, განათლების, კულტურის, საყოფაცხოვრებო, სპორტის, სარემონტო-სამშენებლო, ბუნების დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, სპორტული, რეკრეაციული და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები;

4) ადგილობრივი მეურნეობისათვის საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მიკუთვნება ხდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით;

ა) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ადგილობრივი მეურნეობისათვის საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ, თუ საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს ან წარმოებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების ნახევარზე მეტი გათვალისწინებულია ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის;

ბ) რაიონის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის ადგილობრივი მეურნეობისათვის საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისათვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

5) მესაკუთრეთა თანხმობით შესაძლებელია ადგილობრივი მეურნეობის შემადგენლობაში შევიდეს ის საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, რომლებიც არ წარმოადგენენ ადგილობრივ საკუთრებას, მაგრამ რომელთა საქმიანობა უპირატესად დაკავშირებულია მოსახლეობის მომსახურებასთან;

6) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ საერთო-რესპუბლიკური ინტერესებისათვის ზიანის მიუყენებლად ადგილობრივი მეურნეობის საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს შეუქმნან მეურნეობრიობის უპირატესი პირობები.

მუხლი 20. მმართველობის ეკონომიკური კომპეტენცია

1) ადგილობრივი მეურნეობის რაციონალურად გაძღოლისათვის მმართველობის ორგანოებს აქვთ სათანადო უფლებები და ეკისრებათ მოვალეობები, რომელთა ერთობლიობა შეადგენს მათ ეკონომიკურ კომპეტენციას;

2) მმართველობის ორგანოს უფლება აქვს:

ა) შექმნას საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები;

ბ) გადასცეს იჯარით ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა წესით ბუნებრივი სიმდიდრეები ან სხვა ქონება მოქალაქეებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, მოხანაგობებს;

გ) გასცეს ნებართვა სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

დ) დაადგინოს მმართველობის ტერიტორიაზე არსებული ყველა ობიექტის მშენებლობის, გფფართოების ან რეკონსტრუქციის პირობები;

ე) რეგისტრაციაში გაატაროს საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები;

ვ) გადაწყვიტოს სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის ყველა ობიექტის დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხები;

ზ) დაიწესოს ქვემდებარე ტერიტორიაზე გარეშოს დაცვის დამატებითი მოთხოვნები, შეაჩეროს იმ ობიექტების ექსპლუატაცია, რომელთა ეკოლოგიური უსაფრთხოება უზრუნველყოფილი არ არის და სახიფათოა მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის;

თ) განსაზღვროს მმართველობის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები, პრიორიტეტული დარგები და მათი უზრუნველყოფის გარანტიები;

ი) მოსთხოვოს ქვემდებარე ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს მათ მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის 25 პროცენტამდე რეალიზაცია ან გაცვლა ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;

კ) კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში გააკონტროლოს და მოაწესრიგოს ქვემდებარე ტერიტორიაზე მომსახურებისა და საქონლის რეალიზაციის ფასები; გაატაროს ანტიმონოპოლიური ღონისძიებები;

ლ) დადოს ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებები და შეთანხმებები სხვა ადგილობრივ მმართველობებთან, უცხოეთის ფირმებთან და ხელისუფლებასა და მმართველობის საზღვარგარეთის ადგილობრივ ორგანოებთან;

მ) მიანიჭოს ადგილობრივი მიწითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით, ადგილობრივი ფონდებიდან მატერიალურ-ტექნიკური შემარაგებით უპირატესი სარგებლობის უფლება ადგილობრივი მეურნეობის საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და მოქალაქეებს;

ნ) მონაწილეობა მიიღოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

ო) შექმნას სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, მოსახლეობის მომსახურების ერთობლივი საწარმოები, ითანამშრომლოს უცხოეთის ფირმებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ჯანდაცვის, სპორტისა და სხვა სფეროებში;

პ) ადგილობრივ მმართველობას აქვს აგრეთვე უპირატესი უფლება შეისყიდოს შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საზოგადოებრივი ნაგებობები ან სხვა ობიექტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი საჭიროებისათვის.

4) ადგილობრივი მმართველობის ორგანო მოვალეა:

ა) იზრუნოს მოცემული ტერიტორიის ეკონომიკური, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით იგი:

— ქმნის ხელსაყრელ პირობებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დაწესებულებების განვითარებისათვის;

— აწესებს საავჭრო, კვების, საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო მომსახურების, კულტურის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, საბავშვო დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის მომსახურების ხელსაყრელ რეჟიმს;

ბ) ხელი შეუწყოს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვემდებარე ტერიტორიაზე საჭონლისა და მომსახურების დეფიციტის აღმოფხვრას, დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები;

გ) განახორციელოს ქვემდებარე ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი სიმდიდრეების საკადასტრო აღრიცხვა, საწარმო-სამეურნეო და სხვა სახის ობიექტების ეკონომიკურ-ეკოლოგიური ინვენტარიზაცია;

დ) შეუქმნას ხელსაყრელი პირობები მოქალაქეებს ტრადიციული მეწარმეობის განვითარებისათვის, ადგილობრივი მმართველობის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

5) ზარალი, რომელიც მიადგება მოქალაქეებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ან მათი თანამდებობის პირის მითითების შესრულების, აგრეთვე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ თავისი მოვალეობების არასათანადოდ შესრულების შედეგად, უნდა განიზღაუროს ამ მმართველობის ორგანომ, ან იმ ორგანოს თანამდებობის პირმა, ვისი მიზეზითაც მოხდა ეს ზარალი. ზარალის ანაზღაურების საკითხზე წამოჭრილ დავას წყვეტს სასამართლო ან არბიტრაჟის ორგანოები კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 21. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ურთიერთობა იმ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ადგილობრივ საკუთრებას

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ურთიერთობა იმ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ადგილობრივ საკუთრებას, წესრიგდება მათთან დადებული ხელშეკრულებებით ან ემყარება კანონმდებლობით განსაზღვრულ საგადასახადო საფუძველს.

მუხლი 22. ადგილობრივი მმართველობის ფინანსური ბაზა

1) მმართველობის საქმიანობის ფინანსური ბაზაა ადგილობრივი მმართველობის ფინანსები;

2) ადგილობრივი მმართველობის ორგანოები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი ფინანსების საშუალებით ახორციელებენ ღონისძიებებს მოცემულ ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად;

მუხლი 23. ადგილობრივი ფინანსური სისტემა

1) ადგილობრივ ფინანსურ სისტემას შეადგენენ: ადგილობრივი ბიუჯეტი, ბიუჯეტგარეშე სახსრები, ადგილობრივი მნიშვნელობის სპეციალური ფონდები, ადგილობრივი მმართველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსები; აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციებისა და კერძო პირების ნებაყოფლობით შენატანები, რომლებიც, გამოყენებული იქნება მოცემული ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაჭრელად;

2) ადგილობრივი ფინანსების მთავარ რგოლს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც არის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ფუფლად რესურსების შექმნისა და გამოყენების ძირითადი ფინანსური გეგმა;

3) ადგილობრივი მმართველობის საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ფინანსები, ადგილობრივი მნიშვნელობის სპეციალური ფონდები, სხვადასხვა იურიდიული პირების შენატანები, წარმომადგენენ ადგილობრივი ფინანსების უმნიშვნელოვანეს როლებს, მათი სიმტკიცის საფუძვლებს.

მუხლი 24. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალი

1) ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალი იქმნება იმ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, მოსახლეობის გადასახადისგან, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზეა, და საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო კანონის შესაბამისად გადაიხდება; აგრეთვე სხვა შემოსავლისა და შენატანებისაგან, რომლებიც ამოღება (გადაუხდეველება) მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად ზემდგომი ბიუჯეტებიდან მიღებული სესხებისაგან, ლოტაციებისაგან, სუბვენციებისაგან, ბანკების კრედიტებისაგან;

2) სახელმწიფო გადასახადებისაგან ანარიცხები ადგილობრივ ბიუჯეტში განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივებით;

3) ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში ჩაირიცხება ადგილობრივ მეურნეობაში შემავალი სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების გადასახადები და ჯარიმები, შემოსავალი მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ქონების რეალიზაციიდან და იჯარიდან, კოლექტიური მეურნეობების საშემოსავლო, სარეწაო, საკურორტო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო საშუალებათა და თვითმავალი მექანიზმების, შენობის მფლობელთა და მიწის გადასახადები, სატყეო შემოსავალი, სახელმწიფო ბაჟი და სხვა შემოსავალი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

4) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში ჩაირიცხება ანარიცხების ნაწილი სახელმწიფო გადასახდელებიდან და შემოსავლებიდან; ბრუნვის გადასახადიდან, მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, ზემდგომი ორგანიზაციების კუთვნილი საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახადიდან და სხვა შემოსავალი.

5) საქალაქო და რაიონული ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ შექმნან ბიუჯეტგარეშე სახსრები: საწარმოების, ორგანიზაციების, კოლეგიურ მეურნეობების, კოოპერატივებისა და მოსახლეობის ნებაყოფლობითი შენატანებისაგან, ადგილობრივი მნიშვნელობის სესხების ობლიგაციების რეალიზაციიდან, ქვემდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული ეკონომიკური, სოციალური სიძიებებიდან მიღებული შემოსავლებიდან, მათ მიერ დაწესებული სხვადასხვა გადასახადებიდან, საქველმოქმედო შემოწირულებებიდან.

მუხლი 25. ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები

1) ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები გამოიყენება იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც ახორციელებენ ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებები და ორგანიზაციები განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ფიზიკ

ხიდი

უსაფრთხოება განუყოფელია

რეგიონული კონფლიქტების პრობლემა თითქმის უცვლელად შედის ბოლო ათწლეულების ნებისმიერი საერთაშორისო ფორუმის დღის წესრიგში, იქნება ეს ევროპული დონის შეხვედრა თუ მრავალმხრივი წარმომადგენლობითი კონფერენცია. ცხოველი ინტერესი ამ პრობლემისადმი განსაკუთრებით გასაგებია „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ (თუმცა ვინ იტყვის, დასრულდა კი იგი საბოლოოდ?), ვინაიდან საერთაშორისო უსაფრთხოებას ახლა ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ ამგვარი კონფლიქტები უქმნის.

წლეულს, 5-9 იანვარს თბილისი მასპინძლობდა კონფერენციას, რომელზეც განიხილეს რეგიონული კონფლიქტების ერთ-ერთი ასპექტი და სწორედ აქედან გამომდინარე განისაზღვრა მისი წამყვანი თემა — „ომის სათავეები“. კონფერენცია ჩატარდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგიდით და მასში მონაწილეობდნენ შეერთებული შტატების წამყვანი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრების (სტანფორდის, ჩიკაგოს, ვირჯინიის უნივერსიტეტების, მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები. ამერიკელი და მოსკოველი სპეციალისტები შეხვედნენ და ესაუბრნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გ. ხოშტარიას, უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა და ეკონომიკური რეფორმის კომისიების თავმჯდომარეებს თ. პაატაშვილსა და გ. თაქთაქიშვილს.

რაც შეეხება თვით კონფერენციას, მან მეტად საინტერესოდ და ზოგიერთ შემთხვევაში მწვავედაც კი ჩაიარა. შეუძლებელია და მიზანშეწონილიც არ უნდა იყოს კონფერენციის მსვლელობის დაწვრილებით აღწერა. ერთი კი უნდა აღინიშნოს, რომ აქ განხილულ იქნა ომისა და შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზების ფართო ასპექტები და დისკუსიებმა მრავალი საინტერესო, თუმცა კი ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები წარმოაჩინა. ოდნავ წინ გავუსწრებთ მოვლენებს და ხაზს გავუსვამთ, რომ ქართველი მონაწილენი მიზნად არ ისახავდნენ მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს ადგილისა და როლის განსაზღვრას საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, ვინაიდან ეს პრობლემა სეილდება კონფერენციის თემის ფარგლებს. ამდენად ამერიკისა და კანადის ინსტიტუტის განყოფილების გამგის ა. კორტუნოვის შენიშვნა, რომელსაც ქვემოთ მოყვანილი სიუბრი შეიცავს, გარკვეული თვალსაზრისით უმისამართოა, თუმცა კი მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან პრობლემას ეხება. უშუალოდ კონფერენციის თემატიკაზე თუ ვისაუბრებთ, საქართველოს წარმომადგენელთა პოზიცია სქემატურად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს. დღევანდელ მსოფლიოში საბჭოთა კავშირი ერთ-ერთი ყველაზე აფეთქებასაშიში რეგიონული კონფლიქტის (თუ კონფლიქტების) კერას წარმოადგენს. ეს შემთხვევითი არ არის, ვინაიდან იმპერიის შექმნისას ბოლშევიკებმა შეგნებულად ამოქმედეს პოტენციური ომებისა და კონფლიქტების შემცველი მექანიზმები — უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება საზღვრების გაუმართლებელ გადანაწილებას (შესაბამისად ტერიტორიული პრეტენზიების გაჩენას) და საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით საფუძველს მოკლებული ავტონომიური ფორმირებების შექმნას. დღეს შენელებული მოქმედების ამ „ბომბებმა“ თავი იჩინა და კონფლიქტების არსებობა რეალობად იქცა. ამდენად ეს პრობლემა აღარ შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოთა იმპერიის საშინაო საქმე, ვინაიდან იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს. გამოსავალი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ რესპუბლიკებმა სურვილისამებრ მიიღონ სრული დამოუკიდებლობა — მაშინ ისინი თვით მოუვლიან თავიანთ საშინაო საქმეებს (ავტონომიებს), ხოლო მეზობლებთან მათ ურთიერთობაში შუამავლის როლს შეასრულებს არა ცენტრი, რომელიც პირიქით, დაინტერესებულია მდგომარეობის გამწვავებით, არამედ საერთაშორისო გაერთიანება, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ცივილიზებული მეთოდებით რომ იმოქმედებს. საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ბედი უნდა გახდეს დაავადებული ზრუნვის საგანიც, ვინაიდან ამ უკანასკნელსაც მიუძღვის წვლილი იმპერიის საფუძვლების მორყევაში. ვფიქრობთ, საქართველოს წარმომადგენელთა პოზიციამ განსაკუთრებული ყურადღება შეიძინა ლიტვისა და ლატვიის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უსაფრთხოების ცნება განუყოფელია.

კონფერენციის დამთავრებისთანავე მისმა მონაწილეებმა — ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა სთივენ უოლთმა, ვირჯინიის უნივერსიტეტის პროფესორმა ნილ მაკფარლეინმა, ამერიკისა და კანადის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ანდრე კორტუნოვმა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსმა თედო ჯაფარიძემ, სამინისტროს განყოფილებების უფროსებმა კოტე ყელენტმა და გიგა ბურდულმა — სახელდახელოდ შეაფასეს დისკუსიების შედეგები.

ს. უოლთი: მსგავსი შეხვედრები მეტად სასარგებლოა განსხვავებული, მაგალითად, რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული გამოცდილების შესწავლის თვალსაზრისით. ამასთანავე, ჩვენც შეგვიძლია ზოგიერთი რამ გითხრათ შეერთებული შტატების ისტორიული გამოცდილების შესახებ. ცხადია, ამერიკული დელეგაციის შეშფოთებას იწვევს თვითგამორკვევისა და ადამიანის უფლებების პრობლემები საბჭოთა კავშირსა და სხვადასხვა რესპუბლიკებში. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ჩვენი დისკუსიები ძალზე საინტერესო იყო. საერთოდ ამერიკელები ამაყობენ იმით, თუ როგორ წარმატებით ჩაიარა სხვადასხვა ეროვნული ჯგუფების გაერთიანებამ მათ ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სრულყოფილი და უმტკივნეულო პროცესი — შეერთებულ შტატებში ბევრი მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ — მაგრამ ახლა ვგრძნობთ, რომ ისტორიული თვალსაზრისით ამ საქმეს კარგად გავართვით თავი. ჩვენ ჯერაც ბოლომდე ვერ ჩავწვდომივართ იმ დაძაბულობის მიზეზებს, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ტერიტორიული მთლიანობის შეხარჩუნებისა და თვითგამორკვევის ინტერესები, იქნება ეს საქართველოში, თუ საბჭოთა კავშირის სხვა რომელიმე ნაწილში. მე და ჩემი ამერიკელი კოლეგები უაღრესად ვფასობთ იმს, რაც ქართველი და მოსკოველი მონაწილეებისაგან გავიგეთ და დარწმუნებულნი ვართ, რომ ამერიკაში დაბრუნებისთანავე უკეთ გრკვევის მიზნით გულდასმით გავაანალიზებთ თქვენს წინაშე მდგარ პრობლემებს.

ნ. მაკფარლეინი: ეჭვგარეშეა, რომ ჩვენი ისტორიული გამოცდილება მნიშვნელოვნად განსხვავდება თქვენისაგან. ისიც კარგად გვესმის, რომ ჩვენი საამაყო ისტორიული გამოცდილება არ შეიძლება ადვილად გადავიტანოთ ჩანსხვავებული ტრადიციების, საზოგადოების და პრობლემების მქონე ქვეყნებში. მიუხედავად ამისა გვჯერა, რომ არსებობს ზოგიერთი საერთო ასპექტიც ეთნიკურობის, ტერიტორიულობის, სახელმწიფოებრიობისა და კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. ამიტომაც სასარგებლო იქნება, თუ შევიმუშავებთ საერთო პრაქტიკულ მიდგომებს ამ პრობლემებისადმი, ერთმანეთისაგან ვისწავლით და გავუზიარებთ მოსაზრებებს. მე ყოველთვის როდი ვეთანხმებოდი ქართველი კოლეგების გამონათქვამებს, მაგრამ ვფიქრობ, საკმაოდ კარგად გავიკვეე ეროვნებათაშორისი კონფლიქტების ფუძემდებლურ პრინციპებში. და როგორც კანადელისთვის, იმ ქვეყნის წარმომადგენლისთვის, რომელსაც მსგავსი სიძნელეები გაჩენია, ეს დისკუსიები მეტად ნაყოფიერი და სასარგებლო აღმოჩნდა.

ა. კორტუნოვი: იმ საკითხებს, თუ შეეხებით, რომლებზეც ვერ მივაღწევთ სრულ თანხმობასა და ურთიერთგაგებას, ჩემთვის ძირითადია უპასუხოდ დარჩენილი კითხვა, თუ როგორ ესმით ქართველებს დამოუკიდებლობა. საქმე ეხება ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ, ეროვნული უშიშროებისა და საგარეო-ეკონომიკურ სტრატეგიას. ჩემთვის არ არის ნათელი, ზუსტად რა აქვთ მხედველობაში, როდესაც დამოუკიდებელ სახელმწიფოზე საუბრობენ, როგორი იქნება ურთიერთობა მეზობელ რესპუბლიკებთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან. შემიძლია დავუშვა, რომ ჩვენთვის ბევრი რამ გაუგებარია, ვინაიდან რესპუბლიკა ახლა გარდამავალ პერიოდში იმყოფება. მეორეს მხრივ იმედი მაქვს, რომ მომავალში გაგიგონებთ. უფრო ამომწურავ და გულდასმით ანალიზს, თუ რა ადგილს დაიკავებს რესპუბლიკა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში და იმ სტრუქტურაში, რომელსაც ადრე საბჭოთა კავშირი ერქვა.

ს. უოლთი: ჩემთვის ძალიან საინტერესო მოსასმენი იყო, თუ როგორ წარმოადგინეს ისტორიის ორი განსხვავებული ვერსია კონფერენციის მონაწილეებმა, კერძოდ წარსულში საქართველორუსეთის ურთიერთობის საბჭოთა ან რუსული ვერსია საგრძნობლად განსხვავდებოდა იმისგან, რაც ქართველმა კოლეგებმა გვაუწყეს. ექსპერტი არა ვარ და მიჭირს იმაზე მსჯელობა, თუ რომელი ვერსიაა სწორი, მაგრამ არსებული განსხვავება პოტენციური დაპირისპირების სერიოზულ წყაროდ შეიძლება იქცეს. ამიტომაც იმედი მაქვს, რომ ამ განსხვავებების აშკარა წარმოჩენით, ჩვენ შესაძლოა წავუბიძგებთ ქართველებსა და რუსებს, რათა შეეცადონ მოძებნონ შუხების წერტილები და ისტორიის ერთნაირ გაგებას მიაღწიონ.

თ. ჯაფარიძე: ეს იყო პირველი ღონისძიება, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა გაერთიანებულმა სამინისტრომ ჩაატარა. კონფერენციას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა. პირველი — თეორიული, ვინაიდან გვსურდა, რომ ამერიკელ, მოსკოველ და ქართველ კოლეგებს ერთად განეხილათ ეს ურთულესი საკითხები. მეორე მიზანი უფრო პრაგმატული იყო — უნდა გვეჩვენებინა ამერიკელი და მოსკოველი კოლეგებისთვის, თუ რა ხდება საქართველოში, ჩვენს პარლამენტში, თბილისის ქუჩებში, საერთოდ ქვეყანაში, შესაძლოა ყველა მიზანს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ მაინც, როგორც იტყვიან, უარყოფითი შედეგიც შედეგია, მართალია, ეს ამ კონფერენციას არ ეზება. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ვესაუბრე ნ. მაკფარლეინს, ა. კორტუნოვს და შესაძლოა თბილისი ამგვარი ფორუმების ჩატარების მუდმივი ადგილი გახდეს.

გ. ბურდული: ორიოდე სიტყვას დავუმატებდი. მართლაც, მეტად სასარგებლო და შემეცნებით ხასიათის შეხვედრა გვქონდა. ამგვარ კონფერენციებს, ჩემი აზრით, კიდევ ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს, კერძოდ, პრაქტიკული რეკომენდაციების, განვითარების კონკრეტული მოდელების შემუშავება. ამას იმიტომ მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, რომ თანამედროვე მსოფლიოში უდიდესი, თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორს. ამდენად ნებისმიერი ხასიათის კონფლიქტის მოწესრიგებაზე ყველაზე ერთად უნდა ვიზრუნოთ — ნებისმიერ ყველის ინტერესებს პასუხობს.

კ. ფლენტი: ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო აღნიშნული კონფერენციაზე იყო მცდელობა ჩვენი მხრიდან მოსკოველ პოლიტოლოგებთან დისკუსიებიც და ჩვენს გამოსვლებშიც ამერიკელებისათვის აგვეხსნა ჩვენი პოზიციების მართებულობა ეროვნებათშორისო კონფლიქტებისა და ადამიანთა უფლებების საკითხებში. და თუმცა არსებული ობიექტური მიზეზების გამო რომელთა შორის ძირითადი ალბათ მეტად განსხვავებული ისტორიული განვითარება და მის პროცესში ჩამოყალიბებული განსხვავებული აზროვნებაა, სრული თანხმობის მიღწევა ვერ მოხერხდა, მთავარი უეჭველად ის იყო, რომ დასავლეთის პოლიტოლოგიური სკოლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს მზადყოფნა პოზიციათა დაახლოების გზების ძიებისათვის შემდგომი უშუალო კონტაქტების საფუძველზე. ამ ეტაპზე კი აშკარად წინგადადგმული ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ კონფერენციის მასალების საფუძველზე აშშ-ში და საერთოდ დასავლეთში უკეთესად გაიცნობენ ჩვენს არგუმენტებს.

თ. ჯაფარიძე: ვეთანხმები სთივენს, რომ ამ სახის კონფერენციებმა უნდა სტიმული მისცეს ზოგიერთ საკითხში სიცხადის შეტანას — ვთქვათ, იგივე რუსეთსა და საქართველოს შორის. გუშინ ა. კორტუნოვმა და მე ვისაუბრეთ საქართველოს უზენაესი საბჭოს საგარეო კომისიის თავმჯდომარესთან თ. პაატაშვილთან და პრინციპულად შევთანხმდითო, რომ შეიძლება მოეწყოს რუსეთის და ჩვენი პარლამენტის კომისიების ერთობლივი მოსმენები ორი ქვეყნის წარსულის, აწყმოსა და მომავლის ურთიერთობების ობიექტურად შეფასების მიზნით. ვფიქრობ, ეს ამ კონფერენციის ერთ-ერთი პრაქტიკული მიღწევაა...

ბალტიის ქვეყნები

ინტერვიუ მელორ სტურუასთან

„ამერიკის ხმა“. კვირა. 20 იანვარი, 1991 წელი.

— ბატონო მელორ, ძალიან გვაინტერესებს თქვენი გუშინდელი გამოსვლა კაპიტოლიუმის მაღლობზე და გვინდა მივაწოდოთ ჩვენს მსმენელებს ცნობა ამ გამოსვლის შესახებ, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხებოდა.

სტურუა — დიახ, მე გამოვდიოდი კონგრესში, სადაც საუბარი იყო ვილნიუსის ტრაგიკული ამბების შესახებ. კონგრესმენებსა და ჩვენს შორის იყვნენ ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეები, პროფესორები, პოლიტოლოგები, ებრეელები, ლიტვის წარმომადგენლები და მე.

— ბატონო მელორ, რამდენადაც ვიცი, თქვენ ბევრი ისაუბრეთ საქართველოზე, საქართველოს პრობლემებზე. ეს ამბავი მე მითხრეს ჩვენმა თანამშრომლებმა, კორესპონდენტებმა.

სტურუა — დიახ, მე ვუთხარი კორესპონდენტებს, მხოლოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები კი არ არიან ასეთ მდგომარეობაში, არამედ სხვა რესპუბლიკებიც, მეტადრე საქართველო-მეთქი. მე მოვიყვანე ბატონ ზვიად გამსახურდიას სიტყვები. ბატონმა ზვიადმა ბრძანა: იწყება ბალტიისპირა რესპუბლიკებით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა რესპუბლიკებსაც ასეთივე ბედი არ ელით, მეტადრე კი, საქართველოსო. მე ვუთხარი კონგრესმენებს: „როცა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებზე ლაპარაკობთ, სხვა რესპუბლიკებზეც — საქართველოზე, უკრაინაზე და სხვებზე უნდა გაავრცელოთ თქვენი პოლიტიკა. იმიტომ, რომ ისინიც ასეთსავე საშინელ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული და იმათაც სჭირდებათ თქვენი დახმარება, თქვენი ყურადღება. აქ მარტო ბალტიისპირეთის პრობლემა კი არ არის, არამედ ყველა იმ რესპუბლიკისა, ყველა იმ ხალხისა, რომლებიც დღეს იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობისათვის“. აი ამას გამოყოფდი ხაზგასმით ჩემს საუბრებსა და გამოსვლებში.

— როგორი იყო კონგრესმენების გამოხმაურება თქვენს გამოსვლაზე?

სტურუა — გამოხმაურება ძალიან კარგი იყო. მე მგონი, მივაწვდინე ეს იდეა მათ. ვეუბნებოდი რომ, როდესაც თქვენ ზღუდავთ თქვენს ინტერესს ამა თუ იმ რესპუბლიკით, ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი ამას ასე მიიღებს: „კეთილი, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს ხელს არ ვახლებთ, ვახლოთ სხვა რესპუბლიკას, სხვა ხალხს, სხვა ერს“.

— ე. ი. გლობალური მასშტაბით უნდა გაკეთდეს ყველაფერი.

სტურუა — რასაკვირველია. ყველა ერს აქვს უფლება იყოს დამოუკიდებელი, იყოს საერთაშორისო ოჯახის 100-პროცენტიანი წევრი. სხვათა შორის, მე ვამბობდი, რომ ეკონომიკური დახმარების გარდა საჭიროა უფრო სხვანაირი მიდგომა საქმისადმი. დასავლეთში ამბობენ: ვინაიდან სისხლი დაიღვარა ვილნიუსში, უნდა შევუწყვიტოთ ეკონომიკური დახმარება საბჭოთა კავშირს. მე ვუთხარი, რომ ეკონომიკური დახმარების შეწყვეტით თქვენ ვერაფერს ვერ მიაღწევთ. საჭიროა მხედველობაში მიიღოთ საერთაშორისო მდგომარეობა, საჭიროა აღიაროთ დაპყრობილი ერების დამოუკიდებლობა და ეს უფრო დიდი დახმარება იქნება, ვიდრე ეკონომიკური სანქციები. ვეუბნებოდი, რომ თქვენ ეკონომიკური დახმარება უშუალოდ უნდა გაუწიოთ რესპუბლიკებს და არა მოსკოვის გავლით. პირდაპირ უნდა დაეხმაროთ რესპუბლიკებს, პირდაპირ უნდა მიაწვდინოთ რესპუბლიკების პარლამენტებსა და მთავრობებს დახმარება. და ეს იქნება პირველი ნაბიჯი მათი ცნობის გზაზე. ასეთი ნაბიჯის გადადგმა ძალიან საჭიროა და ამას შემდეგ სხვა ისეთი ნაბიჯებიც უნდა მოჰყვეს, რომლებიც ხელს შეუწყობენ რესპუბლიკების, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულყოფილი წევრების გამოსვლას საერთაშორისო ასპარეზზე.

საზღვარგარეთ

საომარი მოქმედება გრძელდება

საზოგადოებამ ახლახან შეიტყო, რომ ტურინის ერთ-ერთი კომპანია სინთეტიკური მასალისაგან დაახლოებით ათი წლის მანძილზე ამზადებდა ერაყისათვის ტანკების, საბრძოლო თვითმფრინავებისა და რაკეტების გამშვები დანადგარების მაკეტებს. მათი დანიშნულება იყო მოწინააღმდეგის ავიაციის მოტყუება, იუწყება რომიდან ფრანს პრესის საგაზეთო.

კომპანიის მეპატრონემ მარიო მოზელმ უარი განაცხადა დაედასტურებინა ის ფაქტი, რომ მისი პროდუქცია ერაყში გაგზავნა. „ჩემმა კლიენტებმა მთხოვეს, რომ დავიცვა საიდუმლო, — განაცხადა მან. შემიძლია მხოლოდ ერთი ვთქვა: ჩვენ არასოდეს დაგვიმზადებია რაკეტა „სკად“-ის გამშვები დანადგარი. გავაკეთეთ მხოლოდ რაკეტა „ჰოკ“-ის გამშვები მოწყობილობა, რა თქმა უნდა პლასტმასისგან“.

იტალიის პრესის ცნობით საბრძოლო ტექნიკის იმიტაციას შეეძლო მოეტყუებინა არა მარტო მოკავშირეთა მფრინავები, არამედ ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავებიც, რადგან ნაკეთობანი დაფარული იყო მეტალიზებული საღებავით და აღუჭურვილი იყო თერმოგამმსხივებლებით, რომლებიც თავისუფლად შეეძლოთ მიეღოთ ამუშავებულ ძრავად.

ამასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების სახელმწიფო მინისტრი ლონდონში განცხადებით გამოვიდა. მან აღნიშნა, ცნობები ერაყის მრავალი რაკეტგამშვები დანადგარის განადგურების შესახებ შესაძლოა არასწორი იყოსო.

გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა როულენდ ევანსისა და რობერტ ნოვაკის სტატია „ომის შედეგა“, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

პრეზიდენტმა ბუშმა, რომელიც ითვალისწინებს, რომ მისი დიპლომატები გამოთქვამენ შეშფოთებას იმის გამო, რომ შესაძლებელია გაუარესდეს ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა არაბულ სამყაროსთან სპარსეთის ყურის რაიონში ომის შემდეგ, ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის პირველ მოადგილეს რობერტ გეიტსს მიმართა თხოვნით შეემუშაოს გეგმის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს არაბულ ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ჰარმონიზაციას.

გეიტსის გამოკვლევის ყურადღების ცენტრშია ანტიერაყული კოალიციაში არაბული ქვეყნების მონაწილეობის შედეგები: საუდის არაბეთისა და ეგვიპტის ამაღლება და მოულოდნელი დათბობა ამერიკის შეერთებული შტატების დიდი ხნის არამეგობრულ ურთიერთობაში სირიასთან, რომელიც ლიბიის შემდეგ რეგიონში ყველაზე აქტიური ანტიამერიკულ პოზიციებს ადგას. მაგრამ სწორედ იმ მომენტში, როცა ჰაფეზ ასადი განაახლებს ურთიერთობას ვაშინგტონთან, მას დაეწყება უსიამოვნება თურქეთთან.

თურქეთის პრეზიდენტს თურგუთ ოზალის მოულოდნელმა წინადადებამ ბუშისადმი გამოიყენონ ინჯირლიკში სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა ერაყისათვის დარტყმების მისაყენებლად, დიდი შეშფოთება გამოიწვია დამასკოში. სირიის აზრით, თურქეთმა არ მიმართა გეიტსს წინადადებით სათავეში ჩასდგომოდა მაღალი თანამდებობის პირთა კომისიას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, სახელმწიფო დეპარტამენტისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს თანამშრომლთა შემადგენლობით.

„ჩვენ მოვიპოვებთ გამარჯვებას ომში, შემდეგ კი, ალბათ, ერთი წლის შემდეგ შევიგებენთ ჩვენ მიერ გაკეთებულს შედეგებს რეგიონში ძალთა უწონდელი წონასწორობის დარღვევის თვალსაზრისით“, — განგვიცხადა გენერალმა უილიამ ოდომმა, ეროვნული უშიშროების საგანგებოს ყოფილმა დირექტორმა და პრეზიდენტ კარტერის დროს თეთრ სახლში ეროვნული უშიშროების საკითხებზე ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილემ.

ახლო აღმოსავლეთში ამასწინანდელი მოგზაურობის დროს აღმოვაჩინეთ, რომ მრავალი წამყვანი დიპლომატი, განსაკუთრებით ამერიკელი და ევროპელი დიპლომატები, შეშფოთებული არიან იმის გამო, რომ ბუშს ზოგადაც კი არ მოუხაზავს ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკის გეგმა, რომელიც გაჩნდება მას შემდეგ რაც ოთხი-ექვსი კვირის მერე, როგორც მოელიან, დამთავრდება ამ რეგიონში პირველი ომი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და არაბულ ქვეყანას შორის.

არაბმა ხელმძღვანელებმა განგვიცხადეს, რომ მათ ხშირად აღაშფოთებდა ერაყის დიქტატორის მისამართით საბრალდებო სიტყვები, რომლებსაც წარმოთქვამდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. თუ სწორედ ამ აზრისა არიან ეს ხელმძღვანელები, ეს ნიშნავს, რომ არაბულ სამყაროზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენია ბუშის მკვახე, ხშირად უხეშ რიტორიკას.

გარდა იმისა, რომ არაბთა მასების უკმაყოფილონი არიან ბომბების, რაკეტებისა და სხვა ამერიკული შეიარაღების გამოყენებით ერაყისათვის მიყენებული დარტყმების შემზარავი შედეგებით, მათ, ალბათ, არ მოსწონთ არც ბუშის მისწრაფება დაამციროს სადამ ჰუსეინი, თუნდაც ყველანი ისინი აღტაცებული არ არიან ერაყის დიქტატორით. დამარცხებული სადამ ჰუსეინისადმი თანაგრძნობა ხელს აძლევს ნაციონალისტებს, რომლებიც გამოდიან ანტიამერიკული პოზიციებიდან, და ისლამ ფუნდამენტალისტებს, რომლებსაც სურთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წავიდეს მათი მიწა-წყლიდან და დარჩეს მის ფარგლებს გარეთ.

ანტიამერიკული განწყობილების თავიდან აცილება შეიძლება პრეზიდენტ ბუშის ერთ-ერთი ყველაზე ძნელი პრობლემა გახდეს, რომლის გადასაჭრელად საჭირო გახდება მთელი მისი პოლიტიკური ოსტატობა. არაბთა მასების უკმაყოფილების ზრდას სწრაფად შეუძლია არარად აქციოს წარმატებანი, რომლებიც მიღწეულია ბუშის როგორც შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ოსტატური მოქმედების წყალობით. სწორედ ამ წინაალმდეგობის დაძლევას აქტიურად უნდა ისახავდეს მიზნად ომისშემდგომი პერიოდისათვის სტრატეგიის შემუშავება, და პრეზიდენტმა, ბოლოს და ბოლოს, ხელი მოჰკიდა ამ ამოცანის გადაწყვეტას, რომელიც, რა თქმა უნდა, მას ნაკლებად მოსწონს, ვიდრე ბაღდადის წინააღმდეგ სადამსჯელო ექსპედიციის ხელმძღვანელის როლი.

საშუალათს საღამოს ცხრის ნახევარზე იერუსალიმის დროით ერაყმა უკვე მესამედ დაუშინა ისრაელს საბჭოთა წარმოების რაკეტები P-16, რომელსაც დასავლეთში „სკად“-ს უწოდებენ. ამჯერად ერაყის მხრიდან სამი ასეთი რაკეტა გაუშვეს. ორი მათგანი გააუნეტარებელყო რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა „პეტრიოტმა“, რომელიც ისრაელში მყოფმა ამერიკელმა სპეციალისტებმა გაუშვეს. მე-3 რაკეტის დაჯერა ვერ მოხერხდა. იგი მოხვდა ტ. წ. დიდი თელავივის რაიონში შდეგარე საცხოვრებელ სახლს. ისრაელის ცენზურა უფლებას აბრკოლებს კონკრეტულად დასახელოს, თუ რომელ სახლზეა ლაპარაკი, რათა ერაყელ მემიზნეებს საქმე არ გაუადვილოს. აფეთქებიდან 250 მეტრის რადიუსში დაზიანდა ოცამდე სახლი, ვირაუდობენ, რომ დაიღუპა და დაიჭრა 60-დან 70-მდე ადამიანი.

ღამით ისრაელის სამხედრო სარდლობამ საგანგებო თათბირი გამართა. თათბირში მონაწილეობდნენ თავდაცვის მინისტრი, გენერალური შტაბის უფროსი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. გუშინ დილით ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის სასწრაფო სხდომაც გაიმართა, განიხილავდნენ შექმნილ ვითარებას და საპასუხო აქციების ფორმას. როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში ისრაელი დაელოდება, თუ რამდენად ეფექტიანია რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა „პეტრიოტი“. შეგახსენებთ, რომ ერთი ასეთი რაკეტის ფასი ერთი მილიონი დოლარია. სამხედრო სპეციალისტების აზრით „პეტრიოტის“ მიერ ერაყის სამი რაკეტიდან ორის დაჭერა კარგ შედეგად ჩაითვლება. იმავე დღეს საუდის არაბეთისაკენ გაშვებული ექვსი ერაყული რაკეტიდან „პეტრიოტმა“ სამი გააუნეტარებელყო.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის ბენჯამენ ნათანიახუს აზრით ისრაელს სრული უფლება აქვს განახორციელოს საპასუხო აქცია ერაყის მიმართ, მაგრამ ჯერჯერობით თავს შეიკავებს და იმოქმედებს ისე, როგორც სამხედრო ვითარება მოითხოვს.

ერაყმა ნავთობის მნიშვნელოვანი ტერმინალი და საცავები აამფეთქა ქუვეითში. ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება ჰქონდა დასავლეთში. ერაყის მიერ ქუვეითის ყველა ჯაბურღილისა და საცავების განადგურებამ შეიძლება კატასტროფული შედეგები მოუტანოს სპარსეთის ყურეს, გამორიცხული არ არის, რომ ამის გამო მკვეთრად შეიცვლება ჰავა ამ რეგიონში, — აღნიშნა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დენიდ ჰოუელმა. თემთა პალატის მეორე დეპუტატმა ტიმ დელიელმა ბრიტანეთის მთავრობას მოსთხოვა შესაძლო ღონისძიებები განახორციელოს ქუვეითში ნავთობის ველების შემდგომი მოსპობის თავიდან ასაცილებლად. როგორც მან თქვა, ამ პირობებში აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ცეცხლის შეწყვეტას სპარსეთის ყურის რაიონში. ბევრი მიმომხილველის აზრით ერაყის აქციები ქუვეითში შესაძლოა ნიშნავდეს ერაყის მიერ ქუვეითის დატოვებისათვის მზადებას. ზოგიერთი ექსპერტის აზრით ეს შეიძლება საბჭოთა კავშირის რეკომენდაციითაც ხდებოდეს. მოსკოვი, რომელიც ნავთობის უდიდესი ექსპორტიორია, დაინტერესებულია, რომ მასზე მაღალი ფასები იყოს. მართლაც, ერაყის მიერ ნავთობის საცავების განადგურებამ ქუვეითში, ორი დოლარით აწია ერთი ბარელი ნავთობის ფასი ნიუ იორკის სავაჭრო ბირჟაზე და 24 დოლარს მიაღწია.

ექსპერტთა მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ჰუსეინი ცდილობს მრავალეროვნული ძალების სახმელეთო შენაერთების ქუვეითში შეტყუებას. სახმელეთო ბრძოლები ძნელი იქნება. ქუვეითში ერაყელთა ოთხი ათასამდე ტანკია. ამიტომ ორივე მხრიდან ცოცხალი ძალის დიდი დანაკარგი იქნება. ეს კი ომით დასავლეთ ევროპისა და შეერთებული შტატების მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს. სწორედ ამის იმედი აქვს ჰუსეინს და ცდილობს ბრძოლის გახანგრძლივებას.

ესპანეთის მთავრობამ გუშინ მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ერაყის ხელისუფალნი ცუდად ეპყრობიან სამხედრო ტყვეებს. მადრიდში გამოქვეყნებულ განცხადებაში მან აღნიშნა, რომ ერაყის განზრახვა, სამხედრო ტყვეები „ცოცხალ ფარად“ გამოიყენონ ერაყის სამხედრო ობიექტებში, საერთაშორისო სამართლის, აგრეთვე ადამიანის ელემენტარულ უფლებათა უხეში დარღვევაა. ანალოგიური განცხადებებით გამოვიდნენ შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მეთაურები. ამასთან დაკავშირებით ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკეინმა, რომელიც 6 წელი ვიეტნამელებთან იყო ტყვედ, აღნიშნა, მოულოდნელი არაფერი მომხდარა, ტერორისტები ყველგან ერთნაირად იქცევიანო. ისინი ყურადღებას არ აქცევენ ჟენევის კონვენციას და ტყვეებს „ცოცხალ ფარად“ იყენებენ. ასე იქცოდნენ ვიეტნამელები და ასე იქცევა სადამ ჰუსეინიც. მან ჯერ ქუთი მოსახლეობა. მოწამლა, შემდეგ უცხოელი მოქალაქეები დაატყვევა, რაკეტებს უშენს ისრაელს და აფეთქებს ქუვეითის ნავთობსაწყობებს, ბოლოს საერთაშორისო ტერორიზმზე გადადის, რომლის ფაქტები უკვე მრავლად გვხვდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

დიდი ბრიტანეთის ყოფილმა მთავარმა პროკურორმა და გენერალურ სამხედრო დამნაშავეთა ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალზე ედი ბრიტანეთიდან წარგზავნილმა მთავარმა ბრალმდებელმა ლორდმა შოუკროსმა განაცხადეს, რომ ერაყის პრეზიდ

დაღუპვას გადავარჩინოთ შავი ზღვა

საქართველო-თურქეთის სიმპოზიუმი თბილისში

ძალზე სერიოზულ შეშფოთებას იწვევს შავი ზღვის ბედი. მეცნიერთა პროგნოზებით, თუ ოპერატიულად არ მივიღებთ ქმედით ზომებს, მას არაერთი ზღვის ბედი ელის. ბუნების ამ ფასდაუდებელი ქმნილების მომავლის გამო დასაბუთებულმა შეშფოთებამ აბძოლა მეზობელი ქვეყნები — საქართველო და თურქეთი — გაეერთიანებინათ მეცადინეობა.

„შავი ზღვისა და შიდა წყალსატევების ეკოლოგიური მდგომარეობა და მათი რესურსების გამოყენების გუმჭობესება“ — ამ თემას მიეძღვნა საქართველო-თურქეთის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა-სიმპოზიუმი, რომელიც თბილისში გაიხსნა. მასში აგრეთვე მონაწილეობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბულგარეთის წარმომადგენლები. შეხვედრა-სიმპოზიუმი მოიწვიეს იუნესკოს საერთაშორისო პროგრამის „ადამიანი და ბიოსფერო“ საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოსფერულ და ეკოლოგიურ გამოკვლევათა კომისიამ, რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიურმა კომისიამ და სამეცნიერო-საინფორმაციო ცენტრმა.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მოისმინეს თურქეთ-საქართველოს განზრახვათა ოქმის შესრულების შესახებ ინფორმაცია, განიხილეს შავი ზღვისა და შიდა წყალსატევების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთობლივი ღონისძიებანი, სტამბოლში აკვარიუმისა და ოკეანარიუმის დაპროექტების საკითხი. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება თურქეთის რესპუბლიკაში თურქეთ-საქართველოს ეკოლოგიური ცენტრის გახსნის შესახებ. ჯერჯერობით საქართველოში ფერხდება ანალოგიური ცენტრის შექმნა ფინანსურ სიძნელეთა გამო.

სიმპოზიუმზე გამოვიდნენ იუნესკოს საერთაშორისო პროგრამის „ადამიანი და ბიოსფეროს“ საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლეო გაბუნია, თურქეთის დელეგაციის ხელმძღვანელი პროფესორი სელი ჩელიკალე, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, ჩვენი თანამემამულე დოქტორი დავთ ჩიკვაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თემურაზ ჯახიშვილი, კუორორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ნიკო ხატიაშვილი და სხვები, რომლებმაც აღნიშნეს, თუ როგორ საჭიროა გავეერთიანოთ შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყნის მეცადინეობა, რათა დაღუპვისაგან ვიხსნათ შავი ზღვა, გადავეცეითო იგი თანამშრომლობისა და აყვავების ზონად.

მოხსენებებსა და გამოსვლებში შეეხნენ გარემოს გაუუჯეობების წინააღმდეგ ბრძოლის, შავი ზღვის პრაქტიკული ეკოლოგიის, მასში თევზის მარაგის მდგომარეობის, ნაპირსამაგრ სამუშაოთა გაფართოების, ზღვის მიკრობულ ეკოსისტემებზე ტოქსიკურ ნივთიერებათა გავლენის, ეპიდემიოლოგიური პროცესების მოდელირების, საქართველოს სანაპირო საკურორტო რაიონებისა და შავი ზღვის აკვატორიის გარემოს მდგომარეობის, შავი ზღვის აუზის სოციალურ-ეკოლოგიური თავისებურებებისა და სხვა პრობლემების ფართო წრეს.

— სიმპოზიუმზე წარვადგინეთ საქართველოს ეროვნული კომიტეტის მთელი რიგი პროექტები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს აკადემიკოსმა ლეო გაბუნიამ, — ისინი მოიცავენ ზღვებსა და წყალსატევებზე ადამიანის ზემოქმედების, ბიოსფეროზე გარემოს გაუუჯეობების გავლენასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ძნელია გადაჭრიბებით შეგიფასოთ ამ პრობლემათა მნიშვნელობა. უნდა გავაერთიანოთ მთავრობების, ... ერებისა და სპეციალისტებ... ფართო საზოგადოებრიობის მეცადინეობა დაღუპვისაგან შავი ზღვის დასაცავად. ერთიანი ძალისხმევით, ერთიანი სტრატეგიით თავიდან უნდა ავიცილოთ წყლის რესურსების — ბიოსფეროს ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის დეგრადაცია, დესტრუქცია და სრული მოსპობა.

რა თქმა უნდა, ერთ ქვეყანას არ ძალუძს გადაწყვიტოს შავი ზღვის გაჯანსაღების საკითხი, თუ დუნაისპირეთისა და შავი ზღვისპირეთის ყველა სახელმწიფო არ გაეერთიანებს ძალისხმევას ამ მიზნისათვის, თუ არ იქნება გამოყოფილი საჭირო სახსრები ინდუსტრიულ წარმოებაში უნარჩენო ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის და საწმენდი ნაგებობების მშენებლობებისათვის.

გვინდა გვწამდეს: ყველას კარგად აქვს შეგნებული, რომ საქმე ეხება არა უბრალოდ ზღვის წყლის ხარისხს, არამედ ეკოლოგიურ კატასტროფას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანისათვის განუკვრეტელი შედეგები.

საქინფორმი

თბილისი

თბილისი.. იმდენად ახლობელია ყველა ჩვენგანისათვის, რომ ამ მძიმე დღეებშიც სხვანაირი, მარადლა თბილისური განწყობით გვავსებს მისი პეიზაჟების ... ფოტოებზე დაცვა.

ჯაბარ ... ფოტორეპორტაჟი.

ეკოლოგია

შავი ზღვის პრობლემათა გადაწყვეტის ხელშემწყობი ასოციაციის განცხადება

ზღვისპირა მდებარეობა ყველა ქვეყნისათვის წარმოადგენს მისი განვითარების ხელშემწყობ პირობასა და შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრების გზაზე უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს შავი ზღვა — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელი განვითარების თვალსაზრისით სადღეისოდ პრაქტიკულად ნელუხლებელი რეზერვი. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რა სიკეთის მოტანა შეუძლია ქართველი ხალხისათვის ზღვის ინტენსიურ გამოყენებას, საჭიროა ჯეროვნად შეგაფასოთ მისი გეოპოლიტიკური, სარესურსო და სამეურნეო პოტენციალი. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლას.

უეჭველია, რომ ამ უმნიშვნელოვანესი და მტკივნეული პრობლემის სამერმისოდ გადადება აღარა შეიძლება და პირველ რიგში, სწორედ შექმნილი ეკოლოგიური სიტუაციის გამო. შავ ზღვაზე და კერძოდ საქართველოს ზღვისპირეთში ამჟამად მძიმე ეკოლოგიური ვითარებაა. საქართველოს 312 კმიან სანაპირო ზოლზე და ტერიტორიულ წყლებში ბუნებრივი გარემოს დესტაბილიზაციის მთავარი მიზეზებია: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, საკანალიზაციო და ჩამდინარე წყლები; სამრეწველო და კომუნალური ნარჩენები; აგრეთვე სხვადასხვა სასუქები, შხამქიმიკატები და სხვ.

ეკოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენს სანაპიროზე შეიძლება გამოიყოს სამი მძიმე რაიონი: ბათუმისა და სოხუმის ნავსადგურების აკვატორიები, მიმდებარე ტერიტორიები და ტერიტორიული წყლები; აგრეთვე ქ. ფოთის ზონა. ბოლო წლებში ბათუმის აუარეში ფენოლის რაიოდენობა ნორმას საშუალოდ სჭარბობს 50-ჯერ, ნავთობპროდუქტებისა 40-ჯერ, ორგანული ნაერთებისა 12-ჯერ, აზოტის სხვადასხვა ნაერთებისა 6-ჯერ, ხოლო ზოგიერთი პესტიციდისა 5-ჯერ. ასევე არასახარბიელო მდგომარეობაა სოხუმის სანაპიროზე და უშუალოდ აკვატორიაში — აქ მთავარი გამჭუჭყიანებელია კანალიზაცია და სხვა კომუნალური ნარჩენები. თითქმის არ მოქმედებს გამწმენდი ნაგებობები, რომელთაც არ გააჩნიათ ბიოლოგიური გაწმენდის ციკლი.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გოგირდწყალბადის პრობლემასაც. ყველასათვის ცნობილია, რომ შავი ზღვის ზედაპირიდან 200 მეტრის ქვეშით გოგირდწყალბადის ჭარბი ნაერთები შეუძლებელს ხდის ყოველგვარ ბიოლოგიურ პროცესს. ხოლო თბილისის უნივერსიტეტის წლევანდელი ოკეანოლოგიური ექსპედიციის გაზომვებით, ბათუმის ტრაფერსზე გოგირდწყალბადის სიჭარბე შეიმჩნევა 120-139 მ. სიღრმეზე.

ჩვენი აზრით, შავი ზღვის პრობლემების გლობალური გადაჭრა შეუძლებელია ერთი რომელიმე ქვეყნის ძალისხმევით. ეს საერთაშორისო პრობლემაა და მიგვაჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა, დღის წესრიგში უნდა დადგეს ამ მიმართულებით თანამშრომლობის დაწყება შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან: ბულგარეთთან, რუმინეთთან, თურქეთთან, უკრაინასთან, რუსეთთან. საწყის ეტაპზე საჭიროდ მიგვაჩნია მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია, რომელზედაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს სპეციალური საერთაშორისო შავი ზღვის ეკოლოგიური კომისიის ჩამოყალიბებას და საერთაშორისო ფონდის შექმნას.

რაც შეეხება შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლის დაბინძურებას, ამ შემთხვევაში მთელი რიგი საკითხები დღესვე მოითხოვს სასწრაფო ღონისძიებების გატარების დაწყებას და კერძოდ, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს იმ ობიექტების გაუქმება ან სათანადო რეკონსტრუქცია, რომელთა მიზეზითაც ხდება შავი ზღვის სანაპირო ზოლის დანაგვიანება. ამასთან ერთად მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გამოყოფა საკავშირო დაქვემდებარებიდან, რაც ხელს შეუწყობს შავი ზღვის ეკოლოგიურ და სამეურნეო პრობლემათა გადაჭრილად საჭირო საფინანსო ბაზის შექმნას.

ამა წლის სექტემბერში შეიქმნა და ამჟამად ფუნქციონირებს შავი ზღვის პრობლემათა გადაწყვეტის ხელშემწყობი ასოციაცია, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს საზღვაო კონცეფციით (შემუშავებული იქნა რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს მიერ) და რომელმაც უკვე გადადგა რამოდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი, კერძოდ გადაღებული იქნა ფილმი შავი ზღვის სანაპირო ზოლში ეკოლოგიური ვითარების შესახებ, რომლის საფუძველზეც მომზადდა სპეციალური სატელევიზიო გადაცემა; დაისვა რამოდენიმე კონკრეტული საკითხი საქართველოს ყოფილი მთავრობის წინაშეც, თუმცა რამე პრაქტიკული შედეგი ჩვენს წინადადებებს არ მოჰყოლია.

აღნიშნული ასოციაცია მზადაა რეგულარულად ითანამშრომლოს ახლადაჩრეული უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათმოწყობისა და ეკოლოგიის კომისიასთან, რათა რეალურად დაიწყოს პრობლემის მოგვარება.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ასოციაციის სახელით: ი. ფერეთელი, ი. ბათიაშვილი, გ. ფრანგიშვილი, ზ. ჯინჭარაძე, ლ. ქენია, ა. რატიშვილი, ლ. გოგიაშვილი.

საკუთარ სახლში

ბათუ დანელია

ღია წერილი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს 9 აპრილის, ლიტვის ტრაგედიისა და 7 იანვრის ბრძანებულების გამო

უსალმოდ ვინყებ მე ამ წერილს და — უკაცრავად!
ვნერ და ვიგონებ ვოლგისპირა მონყენილ ცისკარს,
მონყენილს მიტომ, რომ ანათებს მთლად უკაცრიელ,
უსაზღვრო ტრამალს! — რად ნავიდნენ რუსები მისგან?!

ნასულა რუსი ლატვიაში, ლიტვაში სტუმრად, —
საქართველოში, ესტონეთში, უკრაინაში...—
გაგრძელებია სტუმრობა და თევზაობს, ხუმრობს,
არ ახსოვს ვალი მშობლიური ქვეყნის წინაშე...

ესტუმრა რუსი შორ ტაჯიკეთს და გალმა ურალს,
აქეთ მოლდოვას სტუმარია, იქით კი — კოშის, —
რაა მიზეზი სტუმრობისა? — „იცხოვრონ ძმურად“!
რაა მიზეზი სტუმრობისა? — „არ ჰქონდეთ ომი“!

დასახლდა რუსი უდმურტეთში და ყველგან, ყველგან,
გაუხდა კარის მეზობელი ჩუვაშს და ბაშკირს,
არ უბრუნებება დედა-რუსეთს — სტუმრის ვალს ხელყოფს, —
მარადიული სტუმარია მასპინძლის სახლში...

ჩვენთან სტუმარზე, ღვთისაა, გეტყვის ყმაწვილიც,
მაგრამ უვადო სტუმრობაზე კარგს არვინ ჰყვება...
ეს, ზოგან, თურმე, სტუმრებს მიწის — სულის ნაწილის
წართმევისა და მითვისების ჰქონიათ ნება!

სტუმრობას დრო აქვს თავისი და იმ დროის მერე
ემიგრანტია უცხოელი — პოეტი თუნდაც,
თორემ ნაყარი ჯამაათი სხვადასხვა ერის,
თუკი თავს იგრძნობს შინაურად — გიმეხთლოს უნდა!

ასეა ჩვენში!.. მსგავსი სხვაგან არც ილანდება.
ასეა ჩვენში!.. და ამაზე მუდმს ვლონდები.
„ფრთხილად“, ინგლისო, საფრანგეთო, ემიგრანტებმა
„არ გაგიუქმონ“ სახელმწიფო ინტერფრონტებით!

რუსმა ლეკეთში, ჩერქეზეთშე დაიდო ბინა,
გაითავისა ჩეჩნისა და ინგუშის მხარე,
ხოლო რუსეთი, სამშობლოს რომ ეძახდა ნინათ —
სულ დაავინყდა — კარგად ცხოვრობს სამშობლოს გარეთ!

და ამბობს რუსი: ჩვენ გიცავთო! ჩვენ რომ არაო,
დაგიპყრობდათო გერმანია ანდა თურქეთი!
ნუ სწუხართ ჩვენზე! ჩვენ გვინახავს სპარსიც, არაბიც,
ბიზანტიელიც, მაგრამ გუნდრუკს არვის ვუკმევდით.

ისე, კი, უნდა მიეშველო მეზობელს კაცმა,
როდესაც თავზე დაეცემა ქურდი ან მკვლელი,
თორემ, იცოდე, შენთან მოვლენ ისინი ხვალ-ზეგ!
ჰე, რა მნარეა, როცა გიჭირს და არვინ გშველის!

და თუ მიშველე მეზობელო, ეს როდი ნიშნავს —
სულ მაყვედრებდე: მე რომ არა, მე რომ არაო,
გაწყდებოდაო შენი მოდგმა და შენი ჯიში, —
სულ მაყვედრებდე, თანაც თვალში გეპატარაო,

სახლში დამიჯდე თავკაცად და იქ — შენი სახლი
უკაცური და მოუფლელი გრიგალმა ფატრაოს! —
რუსულ ტრამალებს ამტკომაც ვიხსენებ ახლა,
ამდენი ხანი რომ ელოდნ მომავლელს და პატრონს.

მაგ ტრამალებიც მე ფიქრები გულს მიკანრავენ,
მათ ბედს, ბატონი პრეზიდენტო, გული განიცდის! —
მე ამნაირი შესავლისთვის ვარ უკაცრავად!
თუ რამ გამომრჩა, მოვიტოვეთ მას მომავლისთვის...

ღლითი დღე თქვენი „სიტყვა-საქმის“ რწმენით ვივსები
და ვიმედოვნებ — მოიქცევით კვლავ, როგორც „ჯერ არს“!
უს! პრეზიდენტო, ქართველ ქალის სისხლის წინწკლები
როგორ უხდება თქვენს, თოვლივით ქათქათა პერანგს!

ლიტველის სისხლმა მხოლად შეამკო თქვენი პალტუხი! —
წარმოგედგინათ მათ ადგილზე შვილი ან ცოლი! —
მაინტერესებს, ამ სტრიქონზე რას მიპასუხებთ,
თუმცა თავს ხომ არ ლაიმციერებთ პოეტთან „ბრძოლით“!

პოეტებს ლექსი გამოგყვება დაბადებიდან,
სიკვდილის მერეც ლექსით ვცოცხლობთ, ლექსით ვენთებით,
ამ მხრივ ნამდვილად ძნელ გზაზე ხართ მეფეები და
პრემიერები, კანცლერები, პრეზიდენტები.

ჰოდა, აფერუმ თქვენს სიმართლეს და თქვენს კაცობას!
აფერუმ თქვენგან ორთავ მხარეს მჯდომარ ლაქიებს!
აფერუმ, მაგრამ, ღმერთო, ასე რამ გაგაცოფათ,
სისხლს რომ მიირთმევთ, პრეზიდენტო, არყის მაგიერ?!

ადამიანის სტომაქს როგორ უნდა მონობდეს!
მაგრამ ვერ აქცევ ავს კეთილად, ცუდს კი — ვარგისად.
ხელი ჩასჭიდეთ, პრეზიდენტო, როდიონოვებს,
თორემ, ვინ იცის, რა მოგელით მშიერ ხალხისგან!

ხალხმა კი იცის, თავი როგორ პატრონს მიანდოს,
მაგრამ დუმს, ვიდრე ძლიერია ბოროტი ძალა...
ეს როგორ მოხდა, პრეზიდენტო, ნობელიანტო,
ჯილდო რისთვისაც მოგანიჭეს, იმას რომ კრძალავთ?!

თუკი სამშობლოს სიყვარულით ვინმე „გაგიუდა“ —
მყისვე ნიჩაბი უნდა ჩაპკრათ, უნდა დატოროთ...
ცოტაც, სულ ცოტაც, პრეზიდენტო, ერი ნაბიჯიც
და დაგიდგებათ დრო ნამდვილად სადიქტატორო.

ასტაფეევთან ნახეთ ალბათ, რომ შეიძლება
ჩვენთან ციმორის გარდა კიდევ კალმახის ქერაც —
უს! პრეზიდენტო, ქართველ ქალის სისხლის წინწკლები
როგორ უხდება თქვენს, თოვლივით ქათქათა პერანგს!

მეტი რა გინდათ?! ქართველს ისევ თითს რატომ უქნევთ?!
დაგაგვიანდათ! — ფუტკარს ველარ ნაართმევთ ყვავილს!..
ქართველმა ერმა აირჩია პატრონი უკვე,
ანი ქართველ ერს ეყოფვნება თავისი თავი!

შავზე ვინ უნდა გვთქმევინოს ჩვენ ანი — თეთრი,
როცა დაიძრა თავისუფალ ცხოვრების ტალღა.
სამოცდაათი წელინადის ჭირი და კეთრი
ჩამოიშორა, როგორც იქნა, ქართველმა ხალხმა.

ქართველმა ხალხმა აირჩია პატრონი თვითონ!
მე მინდა, ისე აირჩიოს პატრონი რუსმაც,
პატრონი, ვისაც ძალუძს ერის ჭაპანი ზიდოს,
გინდ მიხეილი იყოს იგი და გინდაც ჯუზმა.

მაშ, პრეზიდენტო, საქართველოს თითს ნუღარ უქნევთ!
ისე, ჰაერში თითს ქნევის ყველას აქვს ნება...
გეყოთ, ბატონო, ჩვენს მინაზე როკვა და ბუქნი,
რუსეთს მისედეთ, სად ყოველი რუსული ჰქრება!

თორემ, ხომ ხედავთ, პრეზიდენტო, ხალხის „მამეხის“
ძეგლების ნგრევით დავიღალეთ და მათი „მარსვიი“...
მაგათ რომ თავი დავანებოთ — თქვენს ნინამორბედ
რომელ მეთაურს იხსენიებს კეთილად ხალხი?!

უმწეო მეფეს ვეზირები ხდიან „პაიკად“ —
აწყებინებენ სამათხოვროდ ყველგან ხეტიალს...
რაც შეეხება იმპერიას! — რომში დაინგრა,
ჰოდა, რუსეთში (ეს სტრიქონი სულ ზედმეტია)!..

გემშვიდობებით, პრეზიდენტო! სასტიკმა მუზამ
დამაწერინა ეს წერილი და ნუღარ მინყენთ!
ქართველი ფლობდეს საქართველოს, რუსეთს კი — რუსი,
ლიტვას — ლიტველი და — მიფრენდნენ ქუდები ცისკენ!..

P. S.

აქ არ შევწყვეტდი წერას, მაგრამ ავი ბინდები
იპყრობს სარკმელს და სულში ინვევს სინათლის შიმშილს...
მაგრამ მე ნკვარამს აბა როგორ შევუშინდები,
როცა საბჭოურ ცხოვრებისა არ მქონდა შიში!

ღლითი დღე თქვენი „სიტყვა-საქმის“ რწმენით ვივსები
და ვიმედოვნებ — მოიქცევით კვლავ, როგორც „ჯერ არს“!
უს! პრეზიდენტო, ქართველ ქალის სისხლის წინწკლები
როგორ უხდება თქვენს, თოვლივით ქათქათა პერანგს!..

ავტორს თხოვნით ჟურნალი გადაერიცხება მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.

ძ. თბილისში მწერალთა კავშირის სასახლეში მოვიმეზილი პოეტ ბადრი გუგუშვილის განცხადება

ამა წლის 9 იანვარს მწერალთა კავშირის სასახლეში გამოვიცხადე უვადო შიმშილობა. ჩემი მოთხოვნები, რომლებიც საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს გორბაჩოვს გავუგზავნე, საზოგადოებისათვის ცნობილია. 21 იანვარს შიმშილობა დროებით შეეწყვიტე, რასთან დაკავშირებითაც საზოგადოებას ეცნობება შემდეგს:

1. იტალია, ოთხელიც საკუთარი ინიციატივით წამოიწყე, ერთ-ერთი ძველადგენელი ბაზილი იყო საბჭოთა კავშირის ელჩთაგან 7 იანვრის ბრძანებულებით რესპუბლიკაში და რუსეთელიკის გარეთ გაძოწეული ძველი ოდგი საპროტესტო აქციებისა, რომლებმაც სასუფველ ეცდეს ბიაღწიეს, რასაც ადასტურებდა საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. ნ. ნიშანოვის გაჩაცხადი, რომ ავტონომიური ოლქის სტატუსის საკითხი რესპუბლიკის პოეოოგატეგია (იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1991 წ. 19 იანვარი, № 13). ალსებითად ეს იმაზე მეტის მიღწევაა, ვიდრე ჩემი მოთხოვნები შეიცავდა. კარგად მესმის, რომ ეს ცენტრის მხრივ დროებითი უკახდახეაა, მაგრამ დღეანდელ პირობებში მეტის მიღწევა შეუძლებელია. ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ზეშოთ აღნიშნული გაჩაცხადი ხსნის ჩემი მოთხოვნების უმრავლესობას.

2. რაც შეეხება მეოთხე მოთხოვნას, შიშმლობის პერიოდში ჩემთან იყო მრგვალი მაგიდის სამხედრო კომისიის წარმომადგენელი კოკა გაწერელია, რომელმაც განმიცხადა, რომ ჯერჯერობით საოკუპაციო არმიაში ძალით გაწვევის შემთხვევა არ ყოფილა.

3. ყველაფერთან ერთად ვითვალისწინებ იმ საგანგაშო სიტუაციასაც, რაც დღეანდელ მსოფლიოშია შექმნილი სპარსეთის ყურეში საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით.

4. შიმშილობის ბოლო დღეს მწერალთა კავშირის სასახლეში ჩემთან იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი აკაკი ასათიანი, რომელთან საუბარმა დამარწმუნა, რომ შიმშილობის შეწყვეტა აუცილებელია.

და ბოლოს დავამატებ, საქართველო ფაქტობრივად იმყოფება ცენტრის მხრივ გამოუცხადებელი ომის პირობებში, ეს განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს ყოველ ჩვენგანს. დღეს ჩვენი თავდადება საქართველოს ისე სჭირდება, როგორც არასდროს. დადგა დრო, როცა გვერდზე უნდა გადავდოთ პირადი ინტერესები, ვიმოქმედოთ და ვიაზროვნოთ ეროვნების უზენაესი კატეგორიებით. ყველაფერი უნდა გავიღოთ სანუკვარი მიზნების მიღწევისათვის. საქართველოს ყველა მოქალაქეს და ყველა მწერალს მოვუწოდებ პრინციპული მოქმედებებისკენ. დღეს მერყეობა და ყოველგვარი განხეთქილება ღალატის ტოლფასია.

ცენტრის ახრივ ერის ღირსების ყველანაირი ხელყოფისას ჩემს აქციას გააგანლებ. ერის ღირსება ნებისმიერი ჩვენთაგანის სიცოცხლეზე მეტია. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მითანგრძნო და დაზმარება გამიწია შიმშილობის დღეებში.

ერთიანობა ჩვენი გამარჯვების საწინდარია!

მწამს ღვთისა და სამართლიანობის გამარჯვებისა!

თქვენი მონა მორჩილი
ბადრი გუგუშვილი
1991 წლის 22 იანვარი

ღვთისშვილთა კავშირი:
კვლავ მწვავე პროგნოზები !

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) პრეზენტერი იუწყება, რომ ა. წ. 21 იანვრიდან 1 მარტამდე, — „კავშირის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, — შეწყვეტილია მოქალაქეთა მიღება.

— რამ განაპირობა ეს? — „კავშირის პრეზენტერის ხელმძღვანელს ლია ბექაურის ამ კითხვას უპასუხებს კავშირის პრეზიდენტი ზაზა სიხარულიძე:

— გულახდილად ვეტყვით: გარკვეულ სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორთა გამო, კავშირში იმოდენი ვითარება შეიქმნა, რომ, თუკი სასწრაფოდ არ გატარდა სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებანი, ჩვენ შეიძლება ჩავეფლოთ ჩვენი ახლო წარსულისაგან მემკვიდრეობით „ნაბოიებ“ სხვადასხვა მანკიერ მოვლენათა ჭაობში.

ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ჩვენს კავშირს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ბევრი შეღავათი, რაც მავანთ უღვიძებს სურვილს, ისარგებლონ ჩვენი ორგანიზაციის სახელით და აკეთონ თავიანთი „საქმეები“.

ამგვარი ტენდენციები მთელი სისავსით გამოვლინდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე გამოცხადდა „გარდამავალი“ პერიოდი, რამაც გამოიწვია ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ერთგვარი არასტაბილურობა, რითაც ზოგ-ზოგნი ცდილობენ, ხელი მოითბონ.

ამგვარ და სხვა მოვლენებს, ჩვენ ბაზინაც კი არ ვურიგდებოდით, როცა კომუნისტური რეჟიმი გვიხუთავდა სულს, ახლა კი მსგავსი რამ ხომ პირდაპირ შეუწყნარებელია — ჩვენ ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ ახალი საქართველოს ხელისუფლების კურსს, ჩვენი ცხოვრების ყველაზე რთულ — სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში წესრიგისა და კანონიერების დამყარებისაკენ მიმართულს.

იმედი გვაქვს, რომ მთელი ჩვენი საზოგადოება, ხელისუფლება გაგებით მოეკიდება ღვთისშვილთა კავშირის წინაშე წამოჭრილ დროებით სირთულეებს, ჩვენ კი არაფერს დავიშურებთ, რათა უმოკლეს ვადაში მოვაგვაროთ აღნიშნული პრობლემები.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველო-საფრანგეთის კონტაქტები

ამასწინათ, პარიზში, ქან-როსტანის სახელობის რანაკულტურის განვითარების სამეცნიერო ცენტრისა და საფრანგეთის ფირმა „სანოფი“-ს წარმომადგენლებმა, ხელშეკრულება დადეს რესპუბლიკური საწარმოო სახელმწიფო-კოოპერატიული გაერთიანება „საქმეებზმეურნეობასთან“, რასაც ფართოდ გამოიხმაურა საფრანგეთის პრესა. საქმე ეხება მეტად ორგინალური ხასიათის ეკოლოგიურ-კომერციულ ოპერაციას. კერძოდ, შავი ზღვის პირეთის ტბორებში მწვანე ბაყაყების მოშენებას, რასაც განსაკუთრებულად უწყობს ხელს ჩვენი კლიმატური პირობები.

როგორც მეცნიერები ამბობენ, ბაყაყს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიური თვალსაზრისით. მით უფრო, რომ დღესასოვის ისინი მთლიანად გაქრნენ მთელ რიგ ქვეყნებში — ეგვიპტეში, სპერეთნეთში, იუგოსლავიაში, რის შედეგადაც კატასტროფულად მოიმატა კოღოების რიცხვმა და შესაბამისად იფეთქა მალარიამაც. ასეთმა ვითარებამ, საფრანგეთში შეამცირა ბაყაყების წარმოება, მათი საჭიროველო ჭერა და კომერციალიზაცია.

იდეა საქართველოში ბაყაყების მოშენების შესახებ ჯერ კიდევ 1989 წელს ჩაისახა, როცა ინიციატორებმა, რესპუბლიკური საწარმოო სახელმწიფო-კოოპერატიული გაერთიანება „საქმეებზეურნეობის“ ხელმძღვანელობამ მოიწვია ქან-როსტანის მსოფლიოში ერთადერთი რანაკულტურის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, საფრანგეთის სპპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი მეცნიერების დარგში პიერ დარე.

პიერ დარესა და მისი კოლეგების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიის წყალობით, რომელიც საქართველოში 18 თვის შემდეგ დანერგება შეიძლება მიღებული იქნეს წელიწადში 320 ტონა ბაყაყი. და ეს მაშინ, როცა ევროპის ბაზარს ყოველწლიურად 40000 ტონა ესაჭიროება.

ფრანგებთან 10 წლით დადებული კონტრაქტი ითვალისწინებს 200 ჰა-ზე ცოცხალი საკვები ბაყაყის მოშენებას, რაც წლიურად 1 მილიონ დოლარ შემოსავალს მისცემს საქართველოს. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ სამრეწველო წესით მიღებული ბაყაყის მოშენება ხელს არ შეუშლის თევზის წარმოებას, რისთვისაც იგივე ტერიტორია გამოიყენება. ეს ერთი შეხედვით უცნაური იდეა მეტად საინტერესო და მიმზიდველია, რადგან გამოუყენებელი წყლით სავსე გუბარეიაც კი 1 ჰექტარზე შეიძლება 6 ათასი დოლარი შემოსავალი მოიტანოს.

დადებული კონტრაქტით, ტექნოლოგიის დანერგვაზე პასუხისმგებელია ქან-როსტანის ცენტრი პიერ დარეს მეთაურობით, რომელიც ერთი წლით იმუშავებს საქართველოში და სამშეს უხელმძღვანელებს.

ია კალანდარიშვილი

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ადრო ოთარის ძე ღლონტი დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველ მოადგილედ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 81 წლისა გარდაცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ალექსანდრე სემენიანეს ძე ფრანგიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა

ერთადერთი გაზეთია საქარ თველოში, რომელიც თითქმის ყოველდღიურად მშობლიურ ენაზე მიაწვდის მკითხველს ახალ-ახალ ინფორმაციებს რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის ცხოვრებაზე.
„საქართველოს რესპუბლიკა“ ჩვენი ხალხის სიყვარულითა და ნათელი მომავლის რწმენით არის დამუხტული.
მისი გამოწერა შეგიძლიათ ყოველი თვის 15 რიცხვამდე.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: ვეფხვი, თბილისი, ზ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;

წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო

კორპუსში, ხიშარაულის ქ. № 29.

ტირაჟი 16434.